პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 16 აგვისტო 1939 წ.

№ 187 (5587)

ფასი 10 კაპ.



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. საქართველოს სსრ პავილიონთან.

საკდესის ფოტოქრონიკა

## საზოგადოებრივი კვების სანიმუშო ორგანიზაციისათვის!

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ფართო ქსელი. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში აშენებულია ბევრი ახალი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ფაბრიკა-სამზარეულო და სასადილო. ამჟამად ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში არის 30 ათასზე მეტი სასადილო, რესტორანი და ბუფეტი. მესამე ხუთწლედის დამლევისათვის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი 65 ათასამდე გაიზრდება, ხოლო მათი ბრუნვა ერთიორად უნდა გადიდდეს.

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი კვება მეურნეობის ისეთი დარგია, რომელიც მომსახურებას უწევს მილიონობით მშრომელებს. საზოგადოებრივ კვებას მოაქვს „ქალის განთავისუფლება ოჯახური მონობისაგან" (ლენინი), იგი ანთავისუფლებს საბჭოთა ქალს სამზარეულოში მძიმე მუშაობისაგან.

კოლექტივიზებული სოფლის მეურნეობისა და კვების სოციალისტური ინდუსტრიის წარმატებებმა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შექმნეს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისათვის. ჩვენ ყოველგვარი პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყ- [illegible]

[illegible] -ტილოში დღისით და ღამით არის ნაირ-ნაირი გემრიელად მომზადებული ცხელი კერძი.

კარგად მუშაობენ სასადილოები მოსკოვის ქარხანა „ტოჩიზმერიტელთან", გორლოვის შახტა „კოჩეგარკასთან", სასოფლო სასადილო ხარკოვის ოლქის ნოვაია ვოდოლაგაში.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით მოიპოვება საზოგადოებრივი კვების ისეთი საწარმოები, რომლებიც ცუდად აკმაყოფილებენ მშრომელთა განუხრელად მზარდ მოთხოვნილებებს. ბევრ სასადილოში ძალიან ცოტაა კერძების ასორტიმენტი, ხშირად აკლიათ ჭურჭელი, სასადილოს ხელსაწყოები, ყურადღება არ ექცევა მომხმარებლის გემოვნებას. ცოტა როდია ისეთი სასადილოები, სადაც მომხმარებელი უამრავ დროს ჰკარგავს კერძის მოლოდინში. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი ვერ ამჩნევს ისეთ „წვრილმანებს", როგორიცაა კუდები სალაროებთან და ბუფეტებთან, მოსადილეთა მოტყუება ანგარიშში, ისინი მიიჩქვიან უმსგავსოებას.

ასეთი, უკაცრავად პასუხია, მომსახურების მაგალითებისათვის შორს [illegible] არიან გატაცებულნი, ამცირებენ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი კერძების გამოშვებას და ვაჭრობენ მხოლოდ ძვირადღირებული კერძებით. საზოგადოებრივი კვების სისტემაში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ნაკლებად კვალიფიციური, საეჭვო და ისეთი მუშაკები, რომლებიც ნდობის ღირსნი არ არიან. ამავე დროს ახალი კადრების მომზადება აქ ძალიან არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და „ცენტროსოიუზი" ნელა, ზანტად ანხორციელებენ საზოგადოებრივი კვების ახალ საწარმოთა მშენებლობის პროგრამას.

ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ, რომ სსრ კავშირის მშრომელთა მოხმარება მესამე ხუთწლედში ერთნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. „ახლა საქმე უმუშევრობის მოსპობასა და სოფლად სილატაკის ლიკვიდაციას როდი ეხება,—ეს ჩვენ უკვე დავძლიეთ სავსებით და საბოლოოდ. ახლა ამოცანა მდგომარეობს მშრომელთა ისეთი კეთილდღეობისა და კულტურულობის [illegible] -ღებით და თავაზიანად მოეპყრონ მომხმარებელს—სასადილოებისა და რესტორანების, კაფეებისა და ბუფეტების უკლებლივ ყველა მუშაკის უპირველესი მოვალეობაა.

დედაქალაქის მზარეულთა ინიციატივით საზოგადოებრივი კვების საწარმოებში გაიშალა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შორის საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან მოწინავეები, რომლებიც გვიჩვენებენ შრომისადმი ნამდვილი სოციალისტური დამოკიდებულების შესანიშნავ ნიმუშებს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მათი მაგალითი და გამოცდილება გავხადოთ კუთვნილებად საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკისა, რომლებიც მომსახურებას უწევენ მილიონობით მშრომელებს.

საზოგადოებრივი კვების სოციალისტურ საწარმოებს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვთ და ისინი სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ!

„პრავდის" მოწინავე, 15/VIII.

## მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მოსკოვში

**მოსკოვი,** 15 აგვისტო (**ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორ.**). გუშინ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლების დაწყების წინ მოსკოვში, კამერული თეატრის შენობაში შესდგა მეგობრული შეხვედრა კამერული თეატრის ხელმძღვანელებსა და მსახიობებსა და თბილისის სახელმწიფო თეატრის დასს შორის. თეატრის ფოიეში, რომელიც მორთული იყო მისასალმებელი ლოზუნგებით, კამერული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ა. ი. თაიროვი გულითადად მიესალმა თბილისელ სტუმრებს და უსურვა მათ წარმატება მოსკოვში.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამხ. შ. ღამბაშიძე თავის საპასუხო სიტყვაში ლაპარაკობს კამერული თეატრისადმი სიახლოვის გრძნობაზე, იმ სამახსოვრო მეგობრობაზე, რომელიც აერთებდა თაიროვსა და კოტე მარჯანიშვილს. „ჩვენ გვიხარია, — განაცხადა მან, — რომ ვთამაშობთ თქვენი თეატრის კედლებში".

გრძნობით გამსჭვალული სიტყვით გამოვიდა ვერიკო ანჯაფარიძე. „ჩვენ ბედნიერები ვართ, — სთქვა მან, — რომ ვიმყოფებით მოსკოვში, საიდაც ყოველთვის მოისწრაფის ჩვენი აზრები და გრძნობები".

სახელოვან მარჯანელებს მიესალმნენ აგრეთვე კამერული თეატრის დირექტორი ლეიბმანი და მსახიობები ჩაპლიგინი, ბუდაროვი, კესლერი და სხვ.

მოსკოველი მაყურებელი დიდი ინტერესით მოელის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წარმოდგენებს. ჯერ კიდევ გუშინ გაიყიდა ყველა ბილეთი პირველ სამ დადგმაზე. მსახიობთა შორის დიდი აღფრთოვანებაა.

**მოსკოვი,** 15 აგვისტო (**ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.**). დღეს დიდი წარმატებით ჩატარდა პრემიერა „ნაპერწკლიდან". მსახიობები დიდი აღფრთოვანებით თამაშობდნენ. მაყურებლებით სავსე დარბაზი მათ გულთბილად შეხვდა. ხანგრძლივი ოვაციები გამოიწვია გოძიაშვილის გამოჩენამ, რომელიც სტალინის როლს ასრულებდა. ოვაციები გამოიწვია აგრეთვე საბოლოო სურათმა — „შეხვედრამ ტამერფორსში". წარმოდგენას დაესწრნენ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები, მოსკოველი მსახიობები, გაზეთების წარმომადგენლები.

ხვალ დაიდგმება „მზის დაბნელება საქართველოში".

## მესამე ხუთწლედის სესხი

### (მეორე წლის გამოშვება)

საქართველოს სს რესპუბლიკაში, საქ. შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ცნობით, 14 აგვისტოს საღამოსათვის მესამე ხუთწლედის სესხზე (მეორე წლის გამოშვება) ხელისმოწერის თანხამ მიაღწია 117.397.000 მანეთს.

ქალაქად მუშა-მოსამსახურეთა შორის სესხზე ხელისმოწერამ მიაღწია 98.134 ათას მანეთს, ხოლო სოფლად კოლმეურნე და ერთპიროვნულ გლეხთა შორის 19.263 ათას მანეთს.

თბილისში სესხზე ხელისმოწერამ 14 აგვისტოს საღამოსათვის მიაღწია 42.680 ათას მანეთს.

## 1939 წლის არქტიკული ნავიგაცია

ყინულმჭრელი „ი. სტალინი", 14 აგვისტო (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან). უახლოეს დღეებში დამთავრდება 1939 წლის არქტიკული ნავიგაციის პირველი ნახევარი. დასავლეთიდან მომავალი უკანასკნელი გემები გაივლიან ვილკიცკის სრუტეს ყინულმჭრელების „ი. სტალინის" და „ერმაკის" წინამძღოლობით.

წლევანდელი არქტიკული ნავიგაციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი საფუძველს უყრის ჩრდილოეთის საზღვაო გზის ნორმალურ კომერციულ ექსპლოატაციას. ნავიგაციის წარმატებით ჩატარება ხელს შეუწყობს იმ დიადი ამოცანის შესრულებას, რომელიც პარტიის XVIII ყრილობამ დაუსახა საბჭოთა პოლარელებს: მესამე სტალინური ხუთწლედის დამლევისათვის ჩრდილოეთის საზღვაო გზა გადააქციონ ნორმალურად მომქმედ წყლის მაგისტრალად, რომელიც უზრუნველჰყოფს გეგმაზომიერ კავშირს შორეულ აღმოსავლეთთან.

ამ ისტორიული ამოცანის გადაჭრა ჩვენ მიმდინარე ნავიგაციის დროს დავიწყეთ. ყინულმჭრელი „ი. სტალინი" მურმანსკიდან 23 ივლისს საღამოს გავიდა. ჩვენს საბჭოთა ყინულმჭრელებს: „ი. სტალინს", „ლაზარ კაგანოვიჩს", „ერმაკს" და „ლიტკეს" არქტიკის ზღვების ყინულებში გზა უნდა გაეკაფათ იმ გემებისათვის, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიდიან და უკან ბრუნდებიან. ყინულმჭრელ „ლენინს" დავალებული აქვს გაჰყვეს რამდენიმე ათეულ გემს, რომლებიც იგარკაში მიდიან ხე-ტყისათვის, და უზრუნველჰყოს მათთვის უკან დაბრუნება.

წელს ვილკიცკის სრუტე პირველად გაიარა ყინულმჭრელმა „ლიტკემ", რომელსაც 4 გემი მიჰყავდა. ყინულმჭრელმა „ი. სტალინმა" ორჯერ გაიარა ეს სრუტე და 4 ტრანსპორტი გაიყვანა.

მიმდინარე წლის ნავიგაციას დიდ დახმარებას უწევს პოლარული ავიაცია. მფრინავები ყინულოვან დაზვერვას აწარმოებენ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთელ ტრასზე იუგორსკის ბურთობიდან ბერინგის სრუტემდე. ყინულოვანი დაზვერვის მეოხებით არქტიკის ზღვები იღებენ ყინულოვანი პირობების მიმოხილვებს, ცნობებს გემების მოძრაობის შესახებ. ამინდისა და ყინულების მდგომარეობისადმი საჰაერო დაკვირვების გარდა, ჩვენ რეგულარულად ვადევნებთ თვალს პოლარული სამეცნიერო-საკვლევო სადგურები და მცირე საპატრულო გემები „ნორდი", „ნერპა" და სხვები, რომლებიც ყინულის მსხვრევის ადგილების გასწვრივ მიმოდიან. ასეთი ყოველდღიური ოპერატიული ინფორმაცია ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასის მდგომარეობის შესახებ საშუალებას გვაძლევს უფრო ხელსაყრელად გამოვიყენოთ ვითარება გემების მოძრაობისათვის.

როდესაც ყველა გემის განტვირთვა დამთავრდება, ყინულმჭრელები მათ წმინდა წყალში გამოიყვანენ. წელს გემები უკან ცარიელი კი არ დაბრუნდებიან, არამედ გამოყენებულ იქნებიან ქვანახშირისა და ხე-ტყის გადასაზიდავად.

ჩვენი ჰიდროგრაფიული გემები, ისე როგორც ყინულმჭრელი გემები, რომლებსაც პოლარულ სადგურებში საჭურველი და სურსათ-სანოვაგე მიაქვთ, დიდ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას ეწევიან. ჩვენ ამოცანად ვისახავთ ჰიდროგრაფიულად მოვაწყოთ ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასა, რათა გავაადვილოთ გემების წაყვანა. ამით აიხსნება საკვლევო სამუშაოთა ის მნიშვნელოვანი გაქანება, რაც ჩვენ წელს გვაქვს საბჭოთა არქტიკის ზღვებში.

ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ, რომ ამხანაგები სტალინი და მოლოტოვი ზრუნავენ და ყურადღებით ეკიდებიან ჩვენს საქმეს. ჩვენდამი დიდი ნდობა გამოიჩინეს იმით, რომ დაგვავალეს ჩრდილოეთის საზღვაო გზა ნორმალურად მომქმედ მაგისტრალად გადავაქციოთ. საბჭოთა პოლარელები გაამართლებენ ამ ნდობას და ყოველივე ღონეს იხმარენ იმისათვის, რათა უმოკლეს ვადაში განახორციელონ ეს ამოცანა.

**ი. პაპანინი**

საბჭოთა კავშირის გმირი

## მე-500 გაზოგენერატორიანი ავტომობილი

### 1939 წლის გამოშვების ავტომანქანა „ზისი"

სტალინის სახელობის ავტოქარხნის გაზოგენერატორულმა საამქრომ ამა წლის მაისში დაამზადა სპეციალურ დანადგართა მქონე პირველი მანქანები. 13 აგვისტოს საამქრომ გამოუშვა მე-500 გაზოგენერატორიანი ავტომობილი.

ავტოქარხნის საძარე საამქრო შეუდგა ახალი კომფორტაბელური 27-ადგილიანი „ზის-16" ავტობუსების გამოშვებას. უკვე დამზადებულია 168 ასეთი ავტობუსი.

16 აგვისტოს ავტოქარხნის მთავარი კონვეიერიდან ჩამოვა პირველი გაზბალონიანი „ზის-30" ავტომანქანები. აგვისტოში ქარხანამ 30 ასეთი მანქანა უნდა გამოუშვას.

ავტოქარხნის საკონსტრუქტორო-საექსპერიმენტო განყოფილება წელს გამოუშვებს ვაგონის ტიპის „ზის-17" 35-ადგილიანი ავტობუსის ნიმუშს. ამჟამად საექსპერიმენტო საამქროში ხდება ამ ავტობუსის აწყობა. (საკდესი).

## მფრინავი ქალისა და ტექნიკოსის ძლიერი ნებისყოფა და მოსაზრებულობა

**მინსკი,** 14 აგვისტო (საკდესი). „უ-2" თვითმფრინავის (გომელის აეროკლუბი) საცდელი ფრენის დროს მას მოსცილდა მარცხენა შასი იმის გამო, რომ აფრენის დროს ჭანჭიკი გატყდა.

თვითმფრინავი 300 მეტრ სიმაღლეზე მიფრინავდა. ტექნიკოსის ამხ. პოლუბანისა და მფრინავ-ინსტრუქტორის ამხ. ტოჩილინას ძლიერი ნებისყოფისა და მოსაზრებულობის მეოხებით შესაძლებელი გახდა თითქოს აუცილებელი ავარიის თავიდან აშორება. ამხ. პოლუბანმა, სიბრტყეზე გაწოლილმა, თავის ადგილას დასდგა შასის საამორტიზაციო ფეხი და აკავებდა მას თვითმფრინავის დაშვების მომენტამდე. ამხ. ტოჩილინამ მანქანა ოსტატურად დაუშვა.

ამხ. პოლუბანი გომელის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის ყოფილი მუშაა, ამხ. ტოჩილინა წინათ მუშეულის ქარხნის მუშა იყო. ორივე აღზრდილია გომელის აეროკლუბის მიერ.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ ამხ. ტოჩილინა და პოლუბანი გუშინ ძვირფასი საჩუქრებით დააჯილდოვა.

## ფოსტის მიტანის ახალი ვადები

უახლოეს დღეებში ძალაში შევა კორესპონდენციის, გაზეთებისა და ჟურნალების მიტანის ახალი საკონტროლო ვადები.

მოსკოვსა, ლენინგრადსა, კიევსა და ხარკოვში ფოსტას მიიტანენ სულ ცოტა ხუთჯერ დღეში, სხვა დიდ ქალაქებში — სამჯერ, დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში — ორჯერ და ერთხელ დღეში.

რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებში ხელისმომწერლებს გაზეთი უნდა მიუტანონ არაუგვიანეს 2 საათისა და 30 წუთისა იმ მომენტიდან, როცა გაზეთებს საფოსტო საწარმო მიიღებს. ჟურნალები, როგორც წესი, ყველგან იმავე დღეს უნდა მიიტანონ.

დადგენილია აგრეთვე როგორც ჩვეულებრივი, ისე დაზღვეული ადგილობრივი კორესპონდენციის მიტანის საკონტროლო ვადები.

საფოსტო საწარმოებში კონტროლს გაუწევენ კორესპონდენციისა და გაზეთების გავლას დამუშავებისა და მიტანის ყველა ეტაპზე.

## ჩან კაი-შის მიმართვა შანხაის მოსახლეობისადმი

**ჩუნცინი,** 14 აგვისტო (საკდესი). შანხაის რაიონში საომარი მოქმედების ორ წლისთავთან დაკავშირებით, ჩან კაი-შიმ მოწოდებით მიმართა შანხაის მოსახლეობას. ამ მიმართვაში იგი სწერს, რომ შანხაის მოსახლეობა უფროდაუფრო გაბედულად ეხმარება ჩინეთის არმიისა და ხალხის შეიარაღებულ წინააღმდეგობას და ეს დახმარება აღაფრთოვანებს ჩინეთის არმიასა და ხალხს. ჩან კაი-ში აღნიშნავს, რომ ეგრეთწოდებული „ახალი წესრიგი აღმოსავლეთ აზიაში" მთელი ჩინეთის დაპყრობის სინონიმს წარმოადგენს და აცხადებს: „ჩვენს წინ ორი გზაა: ერთი გზა—დავმორჩილდეთ მტერს და დავთანხმდეთ სრულ დამონებას. ეს მოღალატეთა გზაა. მეორე გზაა—განვაგრძოთ გაბედული წინააღმდეგობა იმ მიზნით, რომ საბოლოო გამარჯვებას მივაღწიოთ. ეს წმინდა მისია ჩვენი წინაპრებისაგან გვაქვს დაკისრებული. ჩვენმა ძმებმა შანხაიში უნდა იბრძოლონ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და არ უნდა შეუშინდეთ იაპონელთა რეპრესიებს".

მიმართავს რა ახალგაზრდობას, ჩან კაი-ში მოუწოდებს მას ხელი მოჰკიდოს ტექნიკურ მეცნიერებათა ათვისებას, რათა ქვეყნის სასარგებლო იყოს როგორც აგრესორისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად, ისე ქვეყნის რეკონსტრუქციისთვის.

„მუშები,—ამბობს ჩან კაი-ში — უნდა გაერთიანდნენ და მხარი დაუჭირონ ჩინეთის შეიარაღებულ ბრძოლას, რომელიც უფროდაუფრო გაიშლება, ვიდრე მტერი საბოლოოდ არ იქნება დაძლეული. მუშებმა თავიანთი რევოლუციური სულისკვეთებით და ნაციონალური ღირსების შეგნებით უდიდესი დახმარება გაუწიეს ჩინეთის არმიას შანხაიში მომხდარი ბრძოლების დროს და შემდეგ ჩინეთის მთავრობას დაეხმარნენ, რათა ფაბრიკები და ქარხნები ქვეყნის შუაგულში გადაეტანა". შემდეგ ჩან კაი-ში იმედს გამოსთქვამს, რომ შანხაელი მუშები, დაიცავენ რა თავიანთ რევოლუციურ ტრადიციებს, შემდეგშიც იბრძოლებენ მტრის წინააღმდეგ. ჩან კაი-ში მოუწოდებს მუშებს, გააძლიერონ არმიისათვის დახმარების გაწევა, და ამბობს: „არმიისა და ხალხის გაერთიანებისა და მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია მტრის შემუსვრა".

ჩან კაი-შიმ დასასრულ განაცხადა: „შემიძლია დავარწმუნო ჩემი თანამემამულენი, რომ სამხედრო, დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიური მხრივ ჩვენ მომზადებული ვართ იმისათვის, რომ ყველა სიძნელე გადავლახოთ და საბოლოო გამარჯვებას მივაღწიოთ. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას უნდა ახსოვდეს, რომ საბოლოო გამარჯვების დღის დადგომამდე ჩვენ დიდი სიძნელენი უნდა დავძლიოთ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იაპონია ათჯერ უფრო მეტ სიძნელესა და გაჭირვებას განიცდის".

## უკანასკნელი ცნობები

### თავდასხმა ინგლისის საკონსულოზე ჩიფუში

**ლონდონი,** 15 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 12 აგვისტოს ხალხის ბრბო, რომელსაც იაპონელები ხელმძღვანელობდნენ, თავს დაესხა ინგლისის საკონსულოს ჩიფუში (შანდუნის პროვინცია). საკონსულოს შენობაში ჩამტვრეულია მინები და ჩამოგლეჯილია ფარდები.

### პოლონელთა საბაჟოს ორი ინსპექტორის დაპატიმრება დანციგში

**ვარშავა,** 15 აგვისტო (საკდესი). როგორც პოლონეთის სააგენტო იუწყება, დანციგის პოლიციამ გუშინ დააპატიმრა პოლონელთა საბაჟოს ორი ინსპექტორი სლოვიკოვსკი და გულაკოვსკი, რომლებიც საინსპექციოდ დადიოდნენ მოტორიანი ნავით, და მოტორისტი გორნიკი იმ საბაბით, თითქოს საბაჟოს ეს ინსპექტორები ავრცელებდნენ არალეგალურ ფურცლებს.

### ტიროლის გერმანელების გადასახლება იტალიიდან

**პარიზი,** 12 აგვისტო (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, იტალიის მოქალაქეობა წაერთმევათ და გადასახლებული იქნებიან იტალიიდან არა მარტო ის გერმანელები, რომლებიც სამხრეთ ტიროლში ცხოვრობენ, არამედ ის გერმანელებიც, რომლებიც დაბადებულნი არიან სამხრეთ ტიროლში და იტალიის სხვა პროვინციებში ცხოვრობენ.

### ჩერჩილი ჩავიდა პარიზში

**პარიზი,** 15 აგვისტო (საკდესი). გუშინ აქ ჩამოვიდა ჩერჩილი და იმავე დღეს გენერალ გამელენთან ერთად გაემგზავრა სტრასბურგს. იგი დაათვალიერებს „მაჟინოს ხაზის" სიმაგრეებს.

## უშა ახუბას სტახანოვური რეკორდი

### ნორმის 3.110 პროცენტი

**სოხუმი,** 15 აგვისტო (საკდესი). აფხაზეთის ჩაის პლანტაციების წარჩინებულმა სტახანოველმა ქალმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა უშა ახუბამ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი გაგზავნილი იყო, როგორც გამოფენის მონაწილე, ახალ საწარმოო წარმატებებს მიაღწია. 12 აგვისტოს მან დაამყარა ჩაის ფოთლის კრეფის ახალი რეკორდი. ამ დღეს მან მოჰკრიფა 311,5 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ნორმა 3.110 პროცენტით შეასრულა.

უშა ახუბას სტახანოვურმა რეკორდმა ოჩამჩირის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღვირთება გამოიწვია. მისი მოწაფე ქალები: ხაჯიევა, ცვიჟბა, როზა ახუბა, ცხვიტარია, აძლეიბა და სხვები, ეუფლებიან რა უშა ახუბას სტახანოვურ მეთოდებს, ამჟამად 70-დან 100 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლს ჰკრეფენ თვითეული მაშინ, როცა ნორმა 10 კილოგრამია.

ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში გაიშალა შეჯიბრება კოლმეურნეთა ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ა.-წ. 17 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში (1 მაისის ქუჩა № 10) მოწვეულია

**საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამეურნეო აქტივის თათბირი**

**შემდეგი დღის წესრიგით:**

1. საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოთა 1939 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგებისა და მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ (მომხსენებელი სახკომი ამხ. გ. მ. გორდეზიანი)

**საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი გ. მ. გორდეზიანი**

## სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

### საკოლმეურნეო თეატრების სრულიად-საკავშირო ფესტივალი

15 აგვისტოს მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ასანიშნავად გაიხსნება ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თეატრების ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ დათვალიერებაზე შერჩეული 14 საუკეთესო თეატრი.

თეატრების რეპერტუარშია რუსული და დასავლეთ-ევროპული კლასიკის ნიმუშები, საბჭოთა დრამატურგების პიესები.

თათრეთისა და ორიოტის ნაციონალური თეატრები, რომლებიც ფესტივალზე ჩამოდიან, გვიჩვენებენ თავიანთი ახალგაზრდა დრამატურგების პიესებს.

ფესტივალი გაიხსნება პოგოდინის პიესა „ვერცხლის ღელის" წარმოდგენით, რომელსაც შეასრულებს მოსკოვის პირველი სამხატვრო საკოლმეურნეო თეატრი.

(საქდესი).

### ჩემპიონი ცხოველები

საექსპერტო კომისიებმა დაამთავრეს სოციალისტური მეცხოველეობის განყოფილებებში წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი ექსპონატების შეფასება. ყველა სახისა და ჯიშის შინაური პირუტყვის მიხედვით [illegible]

[illegible] ობის ძროხას „ლენტას". იგი წელიწადში 12.623 ლიტრს იწველის. ვინიცის ოლქის შაქრის კომბინატმა გამოფენაზე გამოიყვანა ძროხა „ორბიტო", რომელმაც გასულ წელს 12.339 ლიტრი რძე მოიწველა. სმოლენსკის ოლქის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ხარის „ტორეადორის" წონა (1.218 კილოგრამი) სარეკორდოდ არის აღიარებული. (საქდესი).

### გეგმა შესრულებულია 145 პროცენტით

ამბროლაურის რაიონმა 14 აგვისტოსათვის მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 145 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 4.350 კილოგრამი პარკი. პარკის საშუალო გამოსავლიანობა ერთ კოლოფზე აღწევს 40,6 კილოგრამამდე, ნაცვლად 30-სა.

საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მდივანი **მურცხვალაძე**

## საქართველოს მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა მეაბრეშუმეობისადმი, ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს მას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. დაბალი იყო პარკის მოსავალი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიიღო მეაბრეშუმეობამ შესაფერი დაფასება. ამხანაგ ლ. ბერიას ხელმძღვანელობით მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ჩვენში გატარდა მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი: შეიქმნა მტკიცე საკვები ბაზა, გრენის დამამზადებელი წარმოება, მომზადდნენ აგრონომი-მეაბრეშუმეები, თესლის სპეციალისტები და მეთუთეები. გარდა ამისა, მოეწყო მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თბილისში, ზონალური სადგური — ქუთაისში და მისი დასაყრდენი პუნქტები — რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში.

ამ ღონისძიებათა შედეგად, პარტიისა და მთავრობის დიდი დახმარებით უკანასკნელ წლებში საქართველოს მეაბრეშუმეობამ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია. თუ 1932 წელს რესპუბლიკაში თითოეული კოლოფი თესლიდან საშუალოდ მიღებული იყო 13,6 კილოგრამი პარკი, 1935 წელს საშუალო მოსავალმა 31,7 კილოგრამს მიაღწია, ხოლო მიმდინარე წელს — 44 კილოგრამს.

ამ წარმატებებს ხელი შეუწყო ჯიშიანობის გაუმჯობესებამ, აგრეთვე მაღალი აგროტექნიკის დანერგვამ და სხვ. 1924 წელს საქართველოში დარიგებულ იქნა 1.940 კოლოფი ჰიბრიდული თესლი, 1939 წელს კი — 43.000 კოლოფი. მოვლის წესების გაუმჯობესების შედეგად, ნაცვლად 1932 წლის 31 პროცენტისა, 1938 წელს პირველხარისხოვანი პარკი შეადგენდა 64 პროცენტს.

ჰიბრიდული ჯიშების გავრცელებისა და პარკის ხარისხის მხრივ საქართველო პირველ ადგილზეა მთელ საბჭოთა კავშირში.

კვების ხანგრძლივობის შემცირებისა და მაღალი მოსავლის მიღების საქმეში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ქისტაურელმა მეაბრეშუმეებმა, მეაბრეშუმე — ინსტრუქტორის ოსანა იაშაშვილის ხელმძღვანელობით. ქისტაურელთა მეთოდები ახლა ფართოდ არის დანერგილი საქართველოს ყველა რაიონში. ამის შედეგად ყვარლის რაიონში მეაბრეშუმეებმა პარკი მე-17 დღეს მიიღეს. ქუთაისის რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ალექსანდრა ნუცუბიძემ სეზონის განმავლობაში გამოკვება 2 კოლოფი თესლიდან მიღებული ჭია და, ნაცვლად 48 კილოგრამისა, თითოეული კოლოფიდან მიიღო 71 კილოგრამი პარკი.

შარშან საქართველოში პარკის დამზადება ივნისის პირველ რიცხვებში დაიწყო, წელს კი—15 მაისს, შარშან საზაფხულო გამოკვებისათვის თესლის პირველი პარტია მზად იყო მხოლოდ 20 ივნისს, წელს კი — 23 მაისს. ყოველივე ეს ხელს უწყობს მეაბრეშუმეობის შემდგომ წარმატებებს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა და საქ. სსრ სახკომსაბჭომ დასახეს ღონისძიებანი მეაბრეშუმეობის კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის. ფართოვდება და ძლიერდება საკვები ბაზა, მეაბრეშუმეობა ვრცელდება საქართველოს ახალ რაიონებში, შენდება გრენის ახალი ქარხნები და ხდება ძველი ქარხნების რეკონსტრუქცია, ფართოდ ინერგება მოწინავე სტახანოველთა გამოცდილება.

ამ წარმატებათა შედეგად საქ. სას.-სამ. გამოფენაზე გაგზავნილია: აბრეშუმის პარკი — 68,5 კილოგრამი, აბრეშუმის ქსოვილთა 12 ნიმუში. გარდა ამისა, გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებულია მოწინავე სტახანოველები, სპეციალისტები და სხვ.

ტ. თოდრაძე

## ტუნგო გამოფენაზე

[illegible]

...რადერეს კოლმეურნეობამ, რომელმაც შარშან თითეულ ჰექტარზე საშუალოდ 1.750 კილოგრამის ნაცვლად 3.450 კილოგრამი ნაყოფი მიიღო. ამავე რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელიც გამოფენის მონაწილედ არის დამტკიცებული, შარშან ტუნგოს აღების გეგმა 450 პროცენტით შეასრულა.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ტუნგოს ხაზით მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ბათუმის რაიონის სოფ. ორთაბათუმის კოლმეურნეობა „კულტურა", ქობულეთის რაიონის სოფ. სახალვაშოს კოლმეურნეობა „აჭარა", მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობები მთელს ქვეყანას გააცნობენ იმ დიდ წარმატებებს, რომლებიც მათ, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, სხვა ძვირფას კულტურებთან ერთად ტუნგოს განვითარების საქმეში მოიპოვეს.

ტ. ატანელი



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. „გლავხლადოპრომის" პავილიონი. საქდესის ფოტოქრონიკა

## პარტიული ცხოვრება

### რაიკომმა კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელოს პირველად პარტორგანიზაციებს

(გორი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გორის რაიონის მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები წარმატებით იბრძვიან XVIII პარტყრილობისა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა გამოვიდა კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობის შესაბამისად ბრწყინვალე მაჩვენებლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად. ამ შეჯიბრებამ საქართველოს კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო შრომის აღმავლობის ახალი ტალღა გამოიწვია, თვითონ ბერბუკის კოლმეურნეობა კი მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

კომუნისტების ინიციატივით ბერბუკელი კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ აგრეთვე უკრაინის მეცხოველეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას და დასახეს ღონისძიებანი თავის კოლმეურნეობაში პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებლად. პარტორგანიზაცია სწორად ათავსებს პარტიულ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან; ამის შედეგად მათ წელს საუკეთესოდ ჩაატარეს ნათესების დამუშავება და [illegible]

[illegible] შვილი). აქ ზოგიერთი კოლმეურნე არღვევდა შრომის დისციპლინას. პარტიულმა კრებამ საკოლმეურნეო ბრიგადებში დისციპლინის განმტკიცების საკითხი ივნისის ბოლოს განიხილა. კრებაზე დასახეს დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებები. ამის შედეგად კოლმეურნეებმა ბაბალე მეგასაშვილმა, მარგალიტა მამუკაშვილმა და ნინო სადათერაშვილმა, რომელთაც წინათ არცერთი შრომადღე არა ჰქონდათ გამომუშავებული, მარტო ივლისში გამოიმუშავეს 46-62 შრომადღე თვითეულმა. მუდამ მასების ავანგარდში მიდიან კომუნისტები მ. მამუკაშვილი, ვ. ყაზაშვილი და შ. ბალიაშვილი; წელს გამოავლინეს სტახანოველი კოლმეურნეები შ. თარხნიშვილი და ს. ხუციშვილი, რომლებმაც 6 თვის განმავლობაში 183-230 შრომადღე გამოიმუშავეს. კოლმეურნეობამ მოსავლის აღება ოთხ დღეში დაამთავრა, ლეწვაც უნაკლოდ ჩატარდა, დანაკარგების წინააღმდეგ 60 ქალი იბრძოდა.

პატარა გარეჯვრის კოლმეურნეობა „კომუნის გზისთან" არსებულმა პარტორგანიზაციამ (პარტორგი დ. მურადაშვილი) ყურადღების ცენტრში მოაქცია მოსავლის დროზე აღებისა და სახელმწიფოს ვალდებულებათა მოხდის საკითხი. პარტორგანიზაციისა და კოლმეურნეობის გამგეობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ახლა სამუშაოზე სისტემატურად გამოდის 31 კოლმეურნე ქალი, რომლებიც წინათ არ მუშაობდნენ. ამჟამად მოსავალი აღებულია 236 ჰექტარზე. პირველი განალეწიდან სახელმწიფოს ჩაბარდა 188 ცენტნერი მარცვლეული. მაგრამ შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად პარტორგანიზაციას ჯერ კიდევ მართებს სერიოზული მუშაობის გაწევა.

სასოფლო პარტიული ორგანიზა- [illegible] ლულა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის და 8 ივლისის დადგენილებები. უცნაურია პარტორგის ამხ. ი. ქალიძის უდარდელი დამოკიდებულება საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების განხილვისადმი. კოლმეურნეობამ მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღება 111 ჰექტარზე 28 ივლისს დაამთავრა, მაგრამ 8 აგვისტოსათვის ერთი ჰექტარის მოსავალიც არ იყო გალეწილი. კოლმეურნეობის გამგეობამ უხეშად დაარღვია ლეწვის შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ დაწესებული ვადები, პარტორგანიზაცია არ დაინტერესებულა განეხილა ლეწვის მიმდინარეობის საქმე, შეესწავლა მიზეზები და გამოესწორებინა ჩამორჩენა. აქ ურჩევიან მუშა-ხელის უყოლობას, ნამდვილად კი არსებული ძალები გამოუყენებელია. ერთი მაგალითი: 6 და 7 ივლისს, როცა კოლმეურნეობაში გაცხოველებული მუშაობა იყო, 6 კოლმეურნე რელიგიურ დღესასწაულზე წავიდა; მათ შორის იყო პარტიის წევრი ლ. ქალიძეც, რომელზედაც პარტორგანიზაციას არ უმსჯელია.

სუსტად მუშაობს აგრეთვე სოფელ ზემო ხვიის კოლმეურნეობა „შრომის" პარტორგანიზაცია (პარტორგი დ. ოქროშიაშვილი). კომუნისტებს თავის კრებაზე არ განუხილავთ მიწების აზომვის, მოსავლის აღებისა და მეცხოველეობის განვითარების საკითხები (კრება ორი თვეა არ ჩატარებულა). კოლმეურნეობაში საფრთხეშია პურეულის ლეწვის საქმე. პურის და ქერის ლეწვა 109 ჰექტარზე 20 ივნისს დამთავრდა, ლეწვა კი 9 აგვისტომდე არ იყო დაწყებული; სალეწი მანქანის მოლოდინში განცხრომას მიეცნენ და კალოები არ მოამზადეს.

მიუხედავად ამ სერიოზული ნაკლისა, აქ ის არის დადებითი, რომ კომუნისტები და [illegible] შრომადღიდან პარტიის 4 წევრს გამოუთვნის 895, ხოლო 19 კომკავშირელს — 2511 შრომადღე.

პარტმუშაობის ნაკლოვანებებზე საუბარში პარტორგი დ. ოქროშიაშვილი, დ. მურადაშვილი, ი. ქალიძე და ა. კურტანიძე აცხადებენ, რომ ისინი მუშაობენ ისე „როგორც იციან"; ისინი საყვედურს გამოსთქვამენ რაიკომის ინსტრუქტორების მიმართ, რომლებიც თვიდან თვემდე თუ გამოჩნდებიან პირველად პარტორგანიზაციებში.

ს. ყურაშვილი

### კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს

(წულუკიძე, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

სოფელ გუბის ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობასთან პირველადი პარტორგანიზაცია არ არსებობს. სამაგიეროდ არის პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია; მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევს კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებს, პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ივლისამდე არ იცოდა კომკავშირულ კრებაზე უნდა განეხილა თუ არა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 27 მაისის დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ".

კომკავშირის კომიტეტის მდივანი ც. მოსეშვილი 5 ივლისს მივიდა კომკავშირის რაიკომის მდივან ამხ. მ. ქუთათელაძესთან და სთხოვა დახმარება ამ საქმის მოგვარებაში. რაიკომის მდივანმა განუცხადა მას, რომ მომართვას მიიღებთ, მომხსენებელი ჩამოვა და შემდეგ განიხილეთო. ქუთათელაძის ამ დაპირების შესრულებას დღესაც ელოდებიან გუბელი კომკავშირელები. ასეთი მუშაობის გამო კომკავშირულ ორგანიზაციას პარტიისა და მთავრობის 27 მაისის დადგენილების შესასრულებლად არავითარი ღონისძიებები არ დაუსახავს; კოლმეურნეობაში მრავალ სერიოზულ ნაკლს აქვს ადგილი.

მაგალითად, მოუგვარებელია შრომის დისციპლინა; მეხუთე ბრიგადის წევრები სამუშაოზე დღის 10-11 საათზე გამოდიან და სამუშაოდან ხუთ საათზე ბრუნდებიან. 18 ივლისს ბ. მოსეშვილი და დ. მოსეშვილი (კომკავშირელია) 11 საათზე გამოცხადდნენ სამუშაოზე, თვით ბრიგადირი კ. მოსეშვილი 12 საათამდე არავის უნახავს ბრიგადაში.

მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში კოლმეურნე ბ. მოსეშვილს გამომუშავებული აქვს მხოლოდ 36 შრომადღე, ტ. კორძაძეს 12,5 შრომადღე. ზოგჯერ თვით კომკავშირლები არიდებენ თავს კოლმეურნეობაში მუშაობას. მაგალითად, კომკავშირელ კ. მოსეშვილს გამომუშავებული აქვს მხოლოდ 31 შრომადღე, შურა მოსეშვილს — 12,5, ნადია კორძაძეს — 17, თინა ბერაძეს — 20, ხოლო ვალენტინა მოსეშვილს 1938 წელს არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია.

შრომის დისციპლინის დაცემის შედეგად კოლმეურნეობაში სისტემატურად ირღვევა სხვადასხვა სამუშაოთა შესრულების ვადები. მაგალითად, ჩაის პლანტაციის მეორე თოხნა კოლმეურნეობას 15 ივნისისათვის უნდა დაემთავრებინა მაგრამ ჯერაც არ არის დამთავრებული, პლანტაციები ნარეკლით არის დაფარული და პირუტყვისაგან ნადგურდება, დაუმთავრებელია სიმინდისა და არახისის მეორე თოხნაც.

კომკავშირის ორგანიზაციას დღემდე არ შეუსწავლია ამ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები და არ მიუღია ზომები მათი გამოსწორებისათვის.

სოფელ გუბის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა იმით უნდა აიხსნას, რომ კომკავშირის წულუკიძის რაიკომი კონკრეტულ-ოპერატიულ დახმარებას და ხელმძღვანელობას არ უწევს მას.

ტ. ჩიქოვანი

პ. რატიანი

# სოციალიზმის გამარჯვებათა ბრწყინვალე დემონსტრაცია

ქალაქი მოსკოვი—ჩვენი დიადი სამშობლოს გული—ამ დღეებში არაჩვეულებრივ საზეიმო ელფერს ატარებს. მის ყოველ ქუჩაზე იგრძნობა საყოველთაო-სახალხო ზეიმის განწყობილება. სპეციალურ მატარებლებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ყოველდღიურად ჩამოჰყავთ ათასობით სტუმრები—სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, შესანიშნავი ნოვატორები, რომლებმაც თავიანთი პატიოსანი და გმირული შრომით მოიპოვეს საპატიო უფლება მონაწილეობა მიიღონ საკოლმეურნეო წყობილების დიად გამარჯვებათა სრულიად-საკავშირო დათვალიერებაში—სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. განუწყვეტელ ნაკადად მოედინებიან კოლმეურნეები ბელორუსიიდან და შორეულ აღმოსავლეთიდან, უკრაინიდან და ციმბირიდან, ამიერ-კავკასიიდან და შუა აზიიდან. დედაქალაქი გულლიად ეგებება სასურველ სტუმრებს; ჩამომსვლელნი გარემოცულნი არიან განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით. გამოფენისაკენ მიმავალი ქუჩები დამშვენებულია ურიცხვი წითელი დროშებით, ბელადების სურათებით, ლოზუნგებით. ყველაფერი ერთსა და იმავეს ღაღადებს, ყველაფერი ერთი აზრითაა გამსჭვალული!

განსაკუთრებით საუცხოო სანახავია იაროსლავლის მშვენიერი შოსე, რომლის ორივე მხარეს თვით გამოფენის ტერიტორიამდე აღმართულია რამდენიმე ათასი ალისფერი დროშა. გათავდება თუ არა იაროსლავლის შოსე, ჯერ კიდევ გამოფენის მთავარ კართან მისვლამდე, მნახველი აღტაცებაში მოჰყავს საუცხოო ხეივნებით დასერილ ვრცელ მოედანს; ამ მოედნის ცენტრში წითელი დროშების ნამდვილ ზღვაში აღმართულია მუხინას სახელგანთქმული ქანდაკება—„მუშა და კოლმეურნე ქალი", რომელიც 1937 წ. ამშვენებდა საბჭოთა პავილიონს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე. გაჰყვები მოედნის ერთ-ერთ ხეივანს და მიუახლოვდები გამოფენის მთავარ კარს, რომელიც ნამდვილი სიდიადის შთაბეჭდილებას ახდენს. შემსვლელი უკვე კართან გრძნობს, რომ ის, რაც მან აქ უნდა ნახოს, რაღაც განსაკუთრებული დიადი და მიმზიდველია.

გამოფენის ტერიტორიაზე შესვლისთანავე, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს პურის ძნების ცათამწვდენი კოშკი, რომელიც აღმართულია მთავარ პავილიონთან და გამოფენის მთელი ტერიტორიიდან მოსჩანს. ესაა წელიწადში 7-8 მილიარდი ფუთი პურის მოყვანის შესახებ სტალინური დავალების წარმატებით განხორციელების სიმბოლო. ადამიანს გინდა ეს საინტერესო კოშკი უფრო ახლოს დაათვალიერო, მიდიხარ მისკენ საუცხოო ხეივნით, მაგრამ მიუახლოვდები თუ არა მას, შენს ყურადღებას ახლა სულ სხვა, ჭეშმარიტად დიადი სანახაობა იზიდავს: ესაა თვალწარმტაცი „კოლმეურნეობათა მოედანი", რომელიც წარმოადგენს გამოფენის ცენტრს. ამ მოედნის ირგვლივ განლაგებულია მოკავშირე რესპუბლიკების მშვენიერი პავილიონები, ხოლო მოედნის ცენტრში ჰაერს აგრილებს მძლავრი შადრევნები.

მთავარი პავილიონი მდებარეობს კოლმეურნეობათა მოედნის აღმოსავლეთით, ხოლო მის პირდაპირ, მოედნის მეორე მხარეს მოთავსებულია აყვავებული საბჭოთა უკრაინის პავილიონი, რომელსაც ამშვენებს მთელი შენობის ირგვლივ მოყოლებული ოქროსფერი პურის თაველები. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პავილიონები მოთავსებული არიან ერთიმეორის გვერდით, მოედნის სამხრეთით; საქართველოს პავილიონი უშუალოდ ეკვრის მთავარი პავილიონის მონუმენტურ შენობას. კოლმეურნეობათა მოედნიდან რომ თვალი გავაყოლოთ დასავლეთისაკენ მიმავალ მშვენიერ ხეივანს, დავინახავთ მექანიზაციის პავილიონს, რომლის წინ მდებარე ფართო მოედანზე აღმართულია დიდი **სტალინის** საოცარი ოსტატობით შესრულებული გიგანტური ფიგურა.

მთავარი პავილიონის წინ, წითელი დროშების ფონზე აღმართულია ლენინისა და სტალინის ასევე შესანიშნავი ოსტატობით შესრულებული სკულპტურული ფიგურები, ხოლო ფასადის ცენტრში მოთავსებულია ტრიბუნა.

ამ ტრიბუნიდან პირველ აგვისტოს მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა **ვ. მ. მოლოტოვმა** ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეთა მჭუხარე ტაშის გრიალში განაცხადა:

„გადალახა რა კულაკებისა და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების გაფთრებული წინააღმდეგობა სოფლად, გადალახა რა ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიის ნაბოლარების—ყველა ამ ტროცკისტთა, მემარჯვენეთა და მისთანათა წინააღმდეგობა,—ბოლშევიკურმა პარტიამ სოფლის მშრომელნი დარაზმა თავისი დროშის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც მტრული ელემენტების მთელი წინააღმდეგობის მიუხედავად და ყოველგვარი „მემარცხენე" გადახვევების საშიში გადახრების მიუხედავად, აშენებდა კოლმეურნეობებს,—და სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა".

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა წარმოადგენს ამ შესანიშნავი სიტყვების დადასტურებას, საკოლმეურნეო წყობილების მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა თვალნათლივ დადასტურებას.

ძნელია აღწერო ყველაფერი ის, რაც ამ გამოფენაზეა ნაჩვენები; საჭიროა ადამიანმა საკუთარი თვალით ნახოს ეს ძვირფასი პავილიონები, ეს უამრავი საკვირველი ექსპონატები, რომ იგრძნოს მათი ძალა, განიცადოს გამოფენის მთელი სიდიადე.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ დავათვალიერეთ გამოფენის მთავარი პავილიონი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ შესავალს მთელი გამოფენისათვის.

ეს არის რაღაც გასაოცარი სანახაობა. ამ ერთ შენობაში, როგორც სარკეში, ასახულია სოციალიზმის ქვეყნის დიადი ისტორიული გამარჯვებანი. აქ თითქოს ერთად შეგროვილი და ერთ ჰარმონიულ მთელად შეკრულია ცხოვრების ყველა დარგში ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებული გრანდიოზული წარმატებები. ეს ძვირფასი დოკუმენტები თვალნათლივ, მხატვრულ სახეებში გვიჩვენებენ, თუ რა ძალა აქვს განთავისუფლებულ საბჭოთა ხალხს, რომელსაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკების პარტია, დიდი **სტალინი.**

მთავარი პავილიონის ე. წ. წინა დარბაზში შესვლისთანავე შესანიშნავი ხელოვნებით შესრულებული მხატვრული ტილოები გადაგიყვანენ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ქარიშხლიანი დღეების პერიოდში.

1917 წელია. ბოლშევიკები ენერგიულად ამზადებენ ძლევამოსილ რევოლუციას. **ლენინი** საზღვარგარეთიდან პეტერბურგისაკენ მოეშურება, რათა უშუალოდ უხელმძღვანელოს რევოლუციას.

შესანიშნავი სურათი ასახავს მუშების, ჯარისკაცებისა და მეზღვაურების შეხვედრას ლენინთან ფინლანდის სადგურზე. ილიჩი ჯავშნოსანი ავტომანქანიდან ამბობს თავის ისტორიულ სიტყვას. მას გვერდით უდგას თავისი თანამებრძოლი — **სტალინი.**

მეორე სურათი ასახავს პროლეტარიატის ისტორიულ იერიშს ზამთრის სასახლეზე... რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო დაიმსხვრა, სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

შემდეგ. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ დაამარცხა ყველა მტრები და შექმნა პირობები მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისათვის. ინდუსტრიალიზაციის სტალინურმა პოლიტიკამ გაიმარჯვა. ჩვენი ქვეყანა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩამორჩენილი, ნახევრადკოლონიური აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიისა და მოწინავე ტექნიკის ქვეყნად. სტალინურმა ხუთწლედებმა სავსებით შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე.

ამჟამად საბჭოთა ხალხი იბრძვის იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს დიდი სტალინის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმული ისტორიული ამოცანა—უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეკონომიურადაც გასწრების შესახებ.

უცქერი ჩვენი ინდუსტრიის ძლიერების გამომხატველ ამ შესანიშნავ ციფრებს, დიაგრამებსა და სურათებს და გჯერა, რომ პარტიას ჩვენი ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის გზით რომ არ წაეყვანა, არ იქნებოდა სოფლად ათეულ ათასობით ტრაქტორები და კომბაინები, არ იქნებოდა მშრომელი გლეხობის ბედნიერი ცხოვრება.

შემდეგ დარბაზში, რომელიც მთავარი პავილიონის ცენტრალურ დარბაზს წარმოადგენს და სტალინური კონსტიტუციის დარბაზი ეწოდება, საოცარი ხელოვნებითაა ასახული მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა, მათი მტკიცე მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. დარბაზის ცენტრში აღმართულია საბჭოების სასახლის გრანდიოზული მაკეტი. ჩვენ დიდხანს აღტაცებით ვუცქეროდით ვლადიმერ ილიჩის ამ მშვენიერ და მონუმენტურ ძეგლს!

დარბაზის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის პანორამები და ამ რესპუბლიკათა ხალხის წარმომადგენლების საუცხოო ქანდაკებანი. ძნელია კალმა სთქვას, თუ რომელი რესპუბლიკის პანორამა უკეთესია, ისინი თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებიან სილამაზეში!

დარბაზი მთავრდება შესანიშნავი მხატვრული კომპოზიციით, რომლის ცენტრში მოთავსებულია დიდი მხატვრული ტილო: ესაა საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის დიდებული სურათი. ტრიბუნაზე დგას დიდი **სტალინი,** პრეზიდიუმში—საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მთელი პოლიტბიურო. სურათის ორივე მხარეზე აღმართულია ქანდაკებათა ჯგუფები, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავენ მუშების, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის მტკიცე შემჭიდროვებას კომუნისტური პარტიისა და დიდი **სტალინის** გარშემო. სურათის ქვეშ გადაშლილია სტალინური კონსტიტუციის წიგნი. აი სწორედ ამ ოქროს წიგნშია აღბეჭდილი სსრ კავშირის ხალხთა დიადი უფლებანი, ამ წიგნის ბრწყინვალე სხივებითაა გასხივოსნებული მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ცა!

მთავარი პავილიონის მესამე დარბაზში ასახულია საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება სოფლად, ასახულია პროცესი წვრილ, ერთპიროვნულ მეურნეობათა გადაყვანისა კოლექტიურ მეურნეობათა საფუძველზე. უამრავი დოკუმენტები, სურათები, დიაგრამები და ციფრები თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ როგორ თანდათანობით იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ჩვენი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები, როგორ სწრაფად იზრდება სოფლად ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების რიცხვი.

მთავარი პავილიონის მთელი რიგი სტენდები ასახავენ აგრეთვე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფ განვითარებას. სსრ კავშირში შექმნილია 406 ათასი საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა, რომელთა შესანიშნავი წარმატებანი ფართოდაა წარმოდგენილი გამოფენაზე.

პავილიონის ერთერთი დარბაზი ასახავს საკოლმეურნეო სოფლის კულტურასა და ყოფაცხოვრებას. მრავალი ციფრი და დოკუმენტი მეტყველებს სოფლად კულტურული რევოლუციის დიად ფაქტებზე, კოლმეურნეობათა შეძლებულ ცხოვრებაზე, განათლებისა და ჯანმრთელობის საქმის სწრაფ განვითარებაზე.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მთავარი პავილიონის ის დარბაზი, რომელიც მოგვითხრობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მეცნიერების უდიდეს მიღწევებზე. ამ დარბაზში შესვლისას ყურადღებას იპყრობს სოციალისტური მიწათმოქმედების ნოვატორთა უზარმაზარი პანო, რომლის ცენტრში წარმოდგენილი არიან პურისა და ბამბის წარმოების ნოვატორები, მათ რიცხვში მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავლისათვის მოძრაობის ინიციატორი ციმბირში მ. ეფრემოვი, ბამბის წარმოების ცნობილი ოსტატები იბრაგიმ რახმატოვი, ბასტი ბაგიროვა და სხვ.

განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებს მნახველი სტენდს, რომელიც აშუქებს ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის ნამუშევარს. აქ წარმოდგენილია მიჩურინის მიერ შექმნილი ასობით ახალი ნაყოფიერი მცენარეების სახეები. აქვეა წარმოდგენილი დოქტორ ჩერნენკოს, აკადემიკოს ციცინის, დერჟავინის და სხვათა მრავალმხრივ საინტერესო მეცნიერული ნაშრომები.

დიდ ინტერესს იწვევს აკადემიკოსების ლისენკოს და ვილიამსის ნაშრომები. აკად. ლისენკომ შექმნა მცენარეთა სტადიური განვითარების თეორია, რის საფუძველზე მანვე გამოიმუშავა ჯიშების შეჯვარების განსაკუთრებული მეთოდი და $2\frac{1}{2}$ წლის განმავლობაში მიიღო სრულიად ახალი, მანამდე უცნობი საუკეთესო ჯიშები. აკად. ვილიამსმა შექმნა ახალი მოძღვრება ნიადაგის განვითარების შესახებ. ამ მოძღვრების საფუძველზე მან გამოიმუშავა მოწინავე აგროტექნიკის მთელი სისტემა.

კოლმეურნეები უცქერიან ამ დიად სანახაობას და მათი გული სიხარულით ივსება. ადამიანი გრძნობს, თუ რაოდენ მართალია საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების შესანიშნავი სიტყვები, რომ კოლმეურნეობათა გზა ერთადერთი სწორი გზაა მშრომელი გლეხობისათვის!

○

ამხანაგების ჯგუფი პავილიონიდან გამოვედით დაღლილნი და მრავალი შთაბეჭდილებით დატვირთულნი. უკვე დაღამებულიყო. მძლავრი ელნათურები თვალისმომჭრელად ანათებდნენ ამ ზღაპრული ქალაქის მშვენიერ პავილიონებს. რომელი ჩვენგანი წარმოიდგენდა, რომ ამ დიადი სანახაობის ადგილას სულ ცოტა ხნის წინათ ჭაობიანი სოფელი პუშკინსკოე იყო?

ქ. მოსკოვი, აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქნავთის ტრესტის სამეურნეო აქტივის თათბირი

## საქნავთის ტრესტის სამეურნეო აქტივის თათბირი

### 15 აგვისტოს სხდომა

15 აგვისტოს თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ნავთის ტრესტის სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელსაც ესწრებიან საქართველოს ნავთის სარეწაოების, ნავთსაძიებელი უბნებისა და ტრესტში შემავალ საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები, თვით ტრესტის ხელმძღვანელები, სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები და სხვ.

აქტივის მუშაობის დღის წესრიგში ორი საკითხი იყო: საქართველოს და უკრაინის ნავთის მუშაკთა შორის მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ და საკითხი საქნავთის ტრესტის საწარმოთა საფინანსო საქმიანობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქნავთის ტრესტის მმართველი ამხ. **ა. მგელაძე.**

საქნავთის ტრესტის საწარმოთა საფინანსო საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ტრესტის მთავარმა ბუხჰალტერმა ამხ. **ალ. სერვიანოვმა.**

დილის სხდომაზე ორივე მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს—ამხ. **სტ. კურგაევმა** (სუფსის ნავთსაძიებელი უბანი), **ტ. გოვალოვმა** (ტრესტის სატრანსპორტო კანტორა), **ვ. ხუმარიანმა** (მირზაანის სარეწაოები), **ი. ბელიკოვმა** (ნორიოს ნავთსაძიებელი უბანი) და **ვ. ბარბაქაძემ** (მირზაანის სარეწაოები).

დილის სხდომის დახურვის წინ გამოქვეყნებულ იქნა უკრაინიდან მიღებული დეპეშა იმის შესახებ, რომ უკრაინის ნავთის მუშაკები თავისი [illegible]

[illegible] ნავთსაძიებელი უბანი) და **მ. კამლაციმ** (მარტყოფ - მუხროვანის ნავთსაძიებელი უბანი).

აქტივის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **კ. შეროზია** და საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. **ა. მირცხულავა.**

აქტივის მესამე სხდომა შესდგება იმავე დარბაზში დღეს, დილის 10 საათზე.

## საქართველოს და უკრაინის ნავთის მუშაკებს შორის მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ

### საქნავთის ტრესტის მმართველის ამხ. ა. მგელაძის მოხსენებიდან

ნავთის მრეწველობა საქართველოში შედარებით ახალგაზრდაა. საქართველოს ნავთის მუშაკთა ახალგაზრდა კადრები, სძლევენ რა თავის მუშაობაში ზრდის სიძნელეებს, ენერგიულად იბრძვიან ნავთისათვის, საქართველოში ნავთის მტკიცე ბაზის შექმნისათვის.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოში ნავთის მრეწველობის განვითარებას, აუცილებლად დავინახავთ [illegible]

საქართველოს ნავთის მრეწველობამ 1939 წ. 7 თვის გეგმა არადამაკმაყოფილებლად შეასრულა: ნავთის ამოღების გეგმა შესრულებულია 57,7%, საძიებო ბურღვისა—80,9% და საექსპლოატაციო ბურღვისა—90,2%. უკვე მეშვიდე თვეა, რაც მირზაანის სარეწაო ვერ ასრულებს ნავთის ამოღების გეგმას, ასევეა ნორიოს ნავთის ძიებაზე. სუფსა-ომფარეთმა და ნორიო-მარტყოფმა ბურღვის გეგმა მეორე კვარტალში გადააჭარბეს, მესამე კვარტალში კი ჩამორჩნენ.

როგორც ცნობილია, აყვავებული საბჭოთა უკრაინის ნავთის მუშაკებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს საქართველოს ნავთის მუშაკები 1939 წლის გეგმის ვადამდე შესრულებაზე.

უკრაინელი ამხანაგების წერილი განხილულ იქნა სარეწაოებისა და საძიებოთა აქტივებზე და ტრესტის ყველა დამხმარე საწარმოებში. ამის შედეგად აღებულ იქნა ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წლიური პროგრამის შესრულებას ვადამდე, ე. ი. სტალინური კონსტიტუციის დღისათვის—5 დეკემბრისათვის.

ეხება რა მირზაანის ნავთის სარეწაოს მუშაობას, ამხ. მგელაძე ამბობს, რომ, მართალია, წინანდელთან შედარებით მის მუშაობაში ადგილი აქვს გაუმჯობესებას, მართალია, ნავთის საშუალო სადღეღამისო ამოღება გაიზარდა, მაგრამ სარეწაო გეგმას მხოლოდ 75-80% ასრულებს, მაშინ, როდესაც იქ ყველა პირობაა შექმნილი კარგი მუშაობისათვის.

ჩამორჩენის მიზეზი ისაა, რომ სარეწაოს ხელმძღვანელობამ (ამხ. ბარბაქაძე და ჭკუასელი) აქამდე ბოლშევიკურად ვერ მოჰკიდა საქმეს ხელი, დაივიწყა ამხ. კაგანოვიჩის მითითება, რომ საქმე ადამიანებში, ჭაბურღილების მოვლის გაუმჯობესებაშია. მომქმედ ჭაბურღილთა ფონდი მირზაანში უნდა გაიზარდოს 50-მდე, რაც უეჭველად უზრუნველჰყოფს გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ბურღვის დარგში მირზაანსა და პატარა შირაქში ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას წყლის სიმცირე და თიხახსნარის ქარხნის უქონლობა წარმოადგენს. მიღებულია ზომები, რათა დამთავრებულ იქნას ალაზან-მირზაანის წყალსადენის გაყვანა და დაწყებულია მუშაობა თიხახსნარის ქარხნის პროექტის შესადგენად.

სუფსის ნავთის მრეწველობას განვითარების უდიდესი პერსპექტივები მოეპოვება. სუფსის ნავთის ძიების მუშაკებმა ისე უნდა მოაწყონ თავისი მუშაობა, რომ უკვე ამ წლის ბოლოსათვის სამრეწველო ექსპლოატაციაში გადასცენ საბადო იმ პირობით, რომ ა.-წ. IV კვარტალიდან სამრეწველო ნავთი მივიღოთ. ის წლის დამლევამდე უნდა გაიბურღოს 4 საძიებო და 8 [illegible] ძლევიან.

მოწინავე ამხანაგები საქნავთის ნავთსაძიებო უბნებსა და სარეწაოებზე ბევრია, მაგრამ მათ სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები საჭირო დახმარებას ვერ უწევენ, ისინი სუსტად მუშაობენ სოცშეჯიბრებისა და მისი უმაღლესი ფორმის—სტახანოვური მოძრაობის გაშლის საკითხებზე.

წელს ტრესტს მიცემული აქვს 31.316 ათასი მანეთი, აქედან 28.829 ათასი მანეთი კაპიტალდაბანდებაზეა გათვალისწინებული.

საქნავთის სამეურნეო მუშაკების ყოველდღიური ბრძოლის ამოცანას შეადგენს საფინანსო დისციპლინის განმტკიცება და ბურღვისა და ტონა-ნავთის ამოღების თვითღირებულების შემცირება, რაც ახლა ნორმას აღემატება.

რაც შეეხება კადრებს, ამ მხრივ მდგომარეობა თვალსაჩინოდ არის შეცვლილი. ამხ. კაგანოვიჩის № 93 ბრძანებით ტრესტმა ბაქოდან და გროზნოდან კარგი კადრები მიიღო. ამასთან ერთად ტარდება ღონისძიებები ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად. მირზაანსა, ნორიოსა და სუფსაში მუშაობს მბურღავთა და მათ თანაშემწეთა მოსამზადებელი კურსები, სადაც 60 კაცი სწავლობს; მათ ამ დღეებში გამოუშვებენ. დასახულია ღონისძიებები ამ სპეციალობის მუშების მოსამზადებლად კოლმეურნეებიდან (უნდა მომზადდეს 60 კაცი), მუშაობს შოფერთა კურსები, რომელიც 90 კაცს ამზადებს; ტექსწავლებაში ჩაბმულია 488 კაცი, მათგან 469 მუშაა და 19 საინჟინერო-ტექნიკური მუშაკი.

ცუდად არის დაყენებული სარეწაოებზე მუშათა ფართო მოხმარების პროდუქტებით მომარაგებისა და კვების საქმე. ამ მხრივ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა უსათუოდ მოიკოჭლებს.

აქტივზე ამხ. მგელაძე აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქნას სპეციალური გაზეთი ნავთის მრეწველობისათვის და საქართველოს კომკავშირმა აიღოს შეფობა საქნავთზე.

მესამე ხუთწლიანი გეგმის ბოლშევიკურად შესრულება — ამბობს ამხ. მგელაძე—სრულიად შეუცვლის სახეს საქართველოს ნავთის მრეწველობას. ამ გეგმით გაბურღულ უნდა იქნას 691550 მეტრი და ამოღებულ უნდა იქნას 1.319 ათასი ტონა ნავთი.

ამთავრებს რა თავის მოხსენებას, ამხ. მგელაძე აქტივის სახელით პირობას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სათბობ მასალათა მრეწველობის სახკომს ლ. მ. კაგანოვიჩს, რომ საქნავთის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ბოლშევიკური სიფხიზლის გამახვილებით, მუშაობაში კონტროლის გაძლიერებით, მტრული ელემენტების განადგურებით, საქართველოს ნავთის მრეწველობის განვითარებისადმი ზოგიერთთა ოპორტუნისტული დამოკიდებულების აღმოფხვრით მოძმე უკრაინის ნავთის მუშაკებთან შეჯიბრებაში მიაღწევენ ბოლშევიკურ გამარჯვებებს და საბჭოთა საქართველოს ნავთის მრეწველობის განვითარების საქმეს წასწევენ წინ ლენინურ-სტალინური გზით.

## საქნავთის ტრესტის საწარმოთა საფინანსო საქმიანობის შესახებ

### ამხ. ალ. სერვიანოვის მოხსენებიდან

(მთავარი ბუხჰალტერი)

— ტრესტის ცალკეულ საწარმოთა და სადარგო გაერთიანებათა ფინანსიური მდგომარეობის შეფასებისას,—სთქვა მომხსენებელმა, — აშკარა ხდება, რომ ჯერ კიდევ ვერ მივეჩვიეთ ფინანსიური დისციპლინის მტკიცედ დაცვას. ადგილი აქვს თანხების გადახარჯვას, გაბურღული მეტრაჟის სიძვირეს, ნავთის თვითღირებულების ზრდას და მთელ რიგ სხვა დეფექტებს. ის სარეწაოები, სადარგო გაერთიანებანი და საწარმოები, რომლებიც გეგმების შესრულებაში არიან ჩამორჩენილნი, ამავე დროს არღვევენ ფინანსიურ დისციპლინას, მათთან იზრდება თვითღირებულება და გეგმაზე ზევით გადახარჯული თანხის რაოდენობა. მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში საქართველოს ნავთის მრეწველობაში გეგმის ზევით გადახარჯული თანხის საერთო რაოდენობა 3.839.000 მანეთს აღწევს. მარტო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მწარმოებელი კანტორის მიერ ამავე პერიოდში გადახარჯულია 118.000 მანეთი. მირზაანის საწარმოებზე ტონა ნავთის თვითღირებულება გეგმის 195 პროცენტს უდრის, ამავე დროს მირზაანის სარეწაოებზე დიდძალი თანხა აქვთ გეგმის ზევით დახარჯული და გეგმების შესრულებაშიც ჩამორჩენილი არიან.

საჭიროა ტრესტის საწარმოთა ხელმძღვანელებმა გააუმჯობესონ მუშაობა, ზუსტად და დროზე შეასრულონ სათბობ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის მითითებები და გააკეთონ ყველაფერი ის, რასაც მათგან მოითხოვს საქართველოს ნავთის მრეწველობის აღმავლობის ინტერესები.

ფინანსიური დისციპლინის დაცვა საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა და პირველ რიგში კი ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.



სუფსის ნავთსაძიებელი უბნის სტახანოველები, საქნავთის სამეურნეო აქტივის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. კუპრაძე (ბურღვის ოსტატი), კ. წილოსანი (მბურღავი), ს. კურგაევი (მბურღავი) და ნ. პაკატელოვი (მბურღავის თანაშემწე).

ფოტო რ. აკოფოვისა

## კამათი ამხ. ა. მგელაძისა და ა. სერვიანოვის მოხსენებათა გარშემო

### ამხ. სტ. კურგაევის სიტყვა

სუფსის ნავთსაძიებელი უბნის № 6 ჭაბურღილის უფროსი

მეხუთე ჭაბურღილის კოშკს ვაშენებდით 3 თვის განმავლობაში, ხოლო ამავე ჭაბურღილის გაბურღვა ბევრად უფრო მოკლე დროში დავამთავრეთ. პირიქით რომ მომხდარიყო, უკეთესი იქნებოდა. რატომ გაგვიჭიანურდა კოშკის მშენებლობა?—იმიტომ, რომ ყველა საჭირო მოწყობილობას, ყველა საჭირო მასალას ვერ მოვუყარეთ თავი და ერთი სახის სამუშაოს რომ შევასრულებდით, ვჩერდებოდით და ველოდით მასალას, ან მოწყობილობას, რომ ახლა მეორე სამუშაო შეგვესრულებინა. ერთი სიტყვით, შრომის ორგანიზაცია ჩვენთან კიდევ არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

დიდ დაბრკოლებად გვეღობება წინ ტრანსპორტის სიმცირე. № 7 ჭაბურღილი მუშათა საცხოვრებელი ბინებიდან 6 კილომეტრითაა დაშორებული, დღეში სულ ცოტა ორჯერ მაინც უნდა გავიაროთ ფეხით ეს მანძილი, რადგან ავტოტრანსპორტი არ არის.

ჭაბურღილის საპროექტო სიღრმე 1200 მეტრი უნდა იქნეს, ხოლო ამ სიღრმის გასაბურღავად აღმართეს 28 მეტრის სიმაღლე კოშკი, რაც საკმარისი არ არის.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ შევჩერდე შრომის დისციპლინაზე. შრომის დისციპლინა ჩვენთან კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ამ მხრივ ძალიან დიდი მუშაობა მართებს არა მარტო ადმინისტრაციას, არამედ პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც, რომლებმაც უფრო ფართოდ უნდა გაშალონ აღმზრდელობითი მუშაობა.

### ამხ. ტ. გოვალოვის სიტყვა

საქ. ნავთის ტრესტის სატრანსპორტო კანტორის უფროსი

მომხსენებლებმა უკვე აღნიშნეს, რომ ჩვენი ტრესტის ავტოტრანსპორტი ვერ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა. ტრანსპორტის მუშაობას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთის მრეწველობის აღმავლობისათვის.

ავტოტრანსპორტის ცუდი მუშაობის მიზეზებია ავტომანქანების სათადარიგო ნაწილთა მოუმარაგებლობა, შოფერთა მაღალკვალიფიციური კადრის საკმაო რაოდენობით უყოლობა და მრავალი სხვა. შრომის დისციპლინა აქაც მოიკოჭლებს. იყო, მაგალითად, შემთხვევა, რომ ალაზანზე გაგზავნილი ჩვენი ავტომანქანა ზაქათალაში აღმოჩნდა.

ამჟამად სატრანსპორტო კანტორის გარაჟში 84 ავტომანქანა და ტრაქტორია. აქედან მხოლოდ 44 მანქანა მუშაობს, ხოლო დანარჩენნი დგანან სათადარიგოდ საჭირო ნაწილების უქონლობის გამო.

ერთი საყვედური უნდა ვუთხრათ ტრესტსაც. ჩვენ არ ვიცით, თუ რა უნდა გვიჯდებოდეს ტონა-კილომეტრი, არა გვაქვს ამ მხრივ არავითარი მითითება ტრესტიდან. უახლოეს დროშივე ტრესტმა უნდა დაამუშაოს სათანადო კალკულაცია და გვითხრას რამდენი უნდა დაგვიჯდეს თითო კილომეტრის გავლა.

გარაჟში ავტომობილების რემონტისათვის ხშირად გვჭირდება ხე-ტყის მასალა, რომელსაც ჩვენ თითქმის სრულებით ვერ ვღებულობთ. ამ მხრივაც გვესაჭიროება ტრესტის დახმარება.

### ამხ. ი. ბელიკოვის სიტყვა

ნორიოს ნავთსაძიებელი უბნის უფროსი

ამ აქტივის მოწვევისათვის ნორიოელმა ნავთის მუშაკებმა ვიკისრეთ ახალი ვალდებულების შესრულება. მე დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რომ ეს ვალდებულებები ჩვენ პირნათლად შევასრულეთ: 13 აგვისტოს გავუშვით № 7 ჭაბურღილი, 15 აგვისტოსთვის უნდა დაგვემთავრებინა № 11 ჭაბურღილის მოწყობა და ეს გუშინ უკვე დამთავრებული იყო.

აქ სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ჩვენი ბურღვის ღირებულება მაღალია, რომ ნავთის თვითღირებულებაც დიდია. ამ საკითხზე მინდა შევაჩერო აქტივის ყურადღება. ნორიოში მუშებისათვის საცხოვრებელ ბინებად ნაქირავები გვაქვს შენობები კოლმეურნეობისაგან. 5.000 მანეთზე მეტს ვიხდით ქირად თვეში. ეს თანხა ემატება ბურღვის ღირებულებას. ამასვე ემატება ის თანხა, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ კოლმეურნეობას ჩვენს მიერ გამოყენებული მათი მიწის ნაკვეთის კულტურულ ნარგავთა ასანაზღაურებლად. კიდევ მრავალი სხვა ხარჯია, რომელიც აძვირებს ბურღვის ღირებულებას.

არის ერთი საკითხი, რომელსაც უნდა მიაქციონ ყურადღება ჩვენმა სპეციალისტებმა. ეს არის ბარიტის უფრო ეფექტურად გამოყენების საკითხი ჭაბურღილებზე. ახლა დიდძალი ბარიტი გვეხარჯება და ეს გარემოებაც იწვევს ბურღვის გაძვირებას.



საქნავთში ფართოდ იყენებენ მბურღავი პარტიების კონფერენციების პრაქტიკას ყოველი ახალი ჭაბურღილის გაშვების წინ, რაც თვალსაჩინო ეფექტს იძლევა. სურათზე: კონფერენცია № 95 ჭაბურღილის გაშვების წინ მირზაანში ა. წ. 9 აგვისტოს. სიტყვას ამბობს უშიშროების დაცვის ინჟინერი ამხ. ხირსელი; ცენტრში № 95 ჭაბურღილის უფროსი ამხ. ხუმარიანი.

ფოტო ან. კელენჯერიძისა

---

ვ. ტოგონიძე

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი

# წყალტუბოს რაიონი ახალი ამოცანების წინაშე

ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ჩვენი პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ ამბობდა: „რაც შეეხება ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას ძირეულ მუშაობასთან მისი მიახლოების მხრივ, მისი შემდგომი კონკრეტიზაციის მხრივ, პარტია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორგანიზაციათა დაწვრილერთეულება, მათი სიდიდის შემცირება საუკეთესო საშუალებაა, რათა პარტიულ ორგანოებს გაუადვილდეთ ამ ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, ხოლო თვით ხელმძღვანელობა კონკრეტული, ცოცხალი, ოპერატიული გახდეს".

გამოდიოდა რა დიდი ბელადის ამ მითითებიდან, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ გამოიტანა დადგენილება საქართველოს მთელი რიგი რაიონების გამოყოფის და მათგან ახალი რაიონების შექმნის შესახებ. კერძოდ ქუთაისის რაიონიდან გამოიყო წყალტუბოს რაიონი ცენტრით დაბა წყალტუბოში.

წყალტუბოს ახალი რაიონის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი აღორძინებისათვის დასახული ღონისძიებები მკაფიო დადასტურებაა პარტიისა და ხელისუფლების მიერ მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის წარმოებული უდიდესი მუშაობისა, რაც საქართველოში განუყრელადაა დაკავშირებული დიდი **სტალინის** ღირსეული მოწაფის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის, საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** სახელთან. რაიონების ასეთი დაწვრილერთეულება უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა. იგი აახლოვებს ხელმძღვანელობას ძირეულ, კონკრეტულ მუშაობასთან და შესაძლებლობას გვაძლევს ხელმძღვანელ სამუშაოზე წამოვაყენოთ ათეულობით ახალი ადამიანები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის ბოლომდე თავდადებული და უნარიანი მებრძოლები.

ახლად ჩამოყალიბებულ ჩვენს რაიონს თავის ტერიტორიაზე აქვს საკავშირო მნიშვნელობის კეთილმოწყობილი კურორტი წყალტუბო, რომელიც თავისი საუცხოო სამკურნალო წყლებით იზიდავს მშრომელებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. უკანასკნელ ხანებში სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ კურორტის მშენებლობა და კეთილმოწყობა, აშენდა 6 სანატორიუმი 875 საწოლით, მათ შორის სანიმუშოდაა მოწყობილი კლინიკური და საკ. პროფსაბჭოს სანატორიუმი; აშენდა 7 აბაზანა, მათგან სანიმუშოდაა მოწყობილი № 5 აბაზანა. კურორტის ზრდასთან ერთად იზრდება დამსვენებელთა გამტარუნარიანობაც. თუ კურორტმა წყალტუბომ 1936 წელს გაატარა 19.865 კაცი, 1937 წელს — 24.961 კაცი, 1938 წელს კი 34.500 კაცი, ეს რიცხვი 1939 წლისათვის კიდევ მეტად იზრდება.

პანსიონატები, სასტუმრო, კეთილმოწყობილი კოოპერატიული მაღაზიები, სკოლები, ბიბლიოთეკა და სხვა კულტურული დაწესებულებანი, სანიმუშოდ მოწყობილი პარკები და გზები—აი ყოველივე ის, რაც უმოკლეს დროში გაკეთდა წყალტუბოში. ამგვარად, ყოველგვარი პირობებია შექმნილი მშრომელების უკეთ დასვენებისა და მკურნალობისათვის.

კიდევ უფრო დიდია კურორტ წყალტუბოს პერსპექტივები მესამე ხუთწლედში. უნდა დამთავრდეს მთავარი მაგისტრალური და შიდა კურორტის კანალიზაციის მშენებლობა, გამოყენებულ იქნას მინერალური წყლების დებეტი (ამჟამად წყლების დებეტი უდრის 23 მილიონ ლიტრს, გამოყენებულია 7 მილიონი ლიტრი), აშენდეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის, მწერალთა კავშირის და სხვ. ახალი სანატორიუმები და აბაზანები, ქუთაის - წყალტუბოს ელექტროგადამცემი ხაზის ქვესადგური, სამრეცხაო, საზამთრო და საზაფხულო თეატრი.

ჩვენს რაიონშია აგრეთვე გუმბრინი, რომლის წარმოებას ამხანაგი **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი. გარდა კურორტისა, წყალტუბოს რაიონი აერთიანებს 8 სასოფლო და 1 სადაბო საბჭოს, რომელთა ტერიტორიაზე მოწყობილია 32 კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 5413 მეურნეობა. რაიონის კოლმეურნეობებში გაშენებულია ჩაის პლანტაცია სულ 1234 ჰექტარზე, მიმდინარე წელს უნდა მომზადდეს ნიადაგი 80 ჰექტარზე. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა ტარდება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისათვის. წყალტუბოს რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა 121 პროცენტით შეასრულა, გეგმით გათვალისწინებული 40.470 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 48.998 კილოგრამი. ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით.

სუბტროპიკული მცენარეებიდან აგრეთვე გაშენებულია იაპონური ხურმა 17 ჰექტარზე, მანდარინი 7 ჰექტარზე, არის შესაფერი ნიადაგი, რომ იაპონური ხურმა და მანდარინი გაშენდეს დამატებით 200 ჰექტარის რაოდენობით, ხეხილის ბაღები გაშენებულია 749 ჰექტარზე. გარდა ზემოჩამოთვლილ მრავალწლიანი კულტურებისა, ითესება ერთწლიანი კულტურებიც: ბაღჩა - ბოსტნეული 676 ჰექტარზე, პერილა 23 ჰექტარზე. ამრიგად, წყალტუბოს რაიონი ძირითადად წარმოადგენს ჩაისა და მებოსტნეობის რაიონს.

ყოველივე ეს ახლად ჩამოყალიბებული წყალტუბოს რაიონის ბოლშევიკების წინაშე აყენებს ამოცანას დაუღალავად იმუშაონ როგორც კურორტის კეთილმოწყობისათვის, ისე სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მაღალი მოსავლის მიღებისათვის. ამისთვის საჭიროა აგროტექნიკის დანერგვა თვითეულ კოლმეურნეობაში, სოფლის მეურნეობის მიმართ ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, სტახანოვური მოძრაობის ყოველმხრივ განვითარება.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნამ უდიდესი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებში, სოფლის ინტელიგენციაში, უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. წყალტუბოს დელეგაცია გამოფენაზე მიდის დიდი მიღწევებით სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

ამჟამად წყალტუბოს რაიონის კომუნისტები დიდ მუშაობას ეწევიან საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების გატარებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მიწათსარგებლობაში ბოლშევიკური წესრიგის დამყარებისათვის.

წყალტუბოს რაიონის ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო განამტკიცა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მოწინავე ადამიანთა მიღების საქმისადმი ხელმძღვანელობა. წყალტუბოს რაიკომის მიერ 1939 წლის 20 ივლისიდან 10 აგვისტომდე საკ. კ. პ. (ბ) წევრად მიღებულია 7 კაცი და კანდიდატად 49 კაცი. საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მივიღეთ მოწინავე ადამიანები, მაგალითად, ამხ. იოსელიანი — გვიშტიბის არასრული საშუალო სკოლის მოწინავე მასწავლებელი; ა. კითილაძე — სოფ. მაღლაკის კოლმეურნეობა „მოწინავე პირველის" წევრი, მინდვრის სტახანოველი; ა. ღურჯუმელია — გუმბრინის წარმოების მანქანე-სტახანოველი; ი. კუხიანიძე — ფარცხანაყანევის დაწყებითი სკოლის მოწინავე მასწავლებელი და სხვ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობა სტაჟგადაცილებულ პარტკანდიდატთა პარტიის წევრებად მიღების საქმეში. ამ მხრივ უფრო სუსტად მუშაობენ სოფ. ფარცხანაყანევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის, წყალტუბოს სასოფლო საბჭოს და კურორტვაჭრობის პარტიული ორგანიზაციები.

დღემდე წყალტუბოს რაიონში ითვლება პარტწევრობის 100 კანდიდატი, რომელთაც უკვე მაისში და ივნისში შეუსრულდათ საკანდიდატო სტაჟი. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია უსულგულოდ ეპყრობა პარტიაში შესვლის მსურველებს, არ ეხმარება მათ დოკუმენტების გაფორმებაში, აჭიანურებს განცხადების განხილვას, არ აწარმოებს მუშაობას კომკავშირელთა შორის მათგან მოწინავეთა მისაღებად პარტიის რიგებში. ახლა, როცა ასე მძლავრად იზრდება ჩვენი პარტიის რიგები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა კომუნისტთა ბოლშევიკურ აღზრდას. ისინი აქტიურად უნდა ჩავაბათ პარტიულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ავუხსნათ ბოლშევიზმის ტრადიციებზე, დავეხმაროთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებაში. ამ საქმეში უდიდეს დახმარებას გაგვიწევს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი"— ბოლშევიზმის ეს სტალინური სახელმძღვანელო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პარტიაში მოწინავე ქალთა მიღების საქმეს. ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ მიგვითითა, რომ „სრულიად არასაკმარისია ჩვენს პარტიაში ქალთა რაოდენობა (9,8%) უნდა გავაძლიეროთ აგრეთვე მუშაობა პარტიაში ქალების ჩასაბმელად". წყალტუბოს რაიონში პარტიის წევრთა შორის ქალები მხოლოდ 3,3 პროცენტია. ეს გარემოება გვავალებს მეტი მზრუნველობა გამოვიჩინოთ პარტიის რიგებში მოწინავე ქალთა მიღებისადმი.

წყალტუბოს რაიკომმა ხელი მოჰკიდა ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურებას პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და სხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე. წყალტუბოს რაიონის ჩამოყალიბების შემდეგ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულია 21 ამხანაგი. მარტო რაიონულ კომიტეტში ინსტრუქტორებად დაწინაურებულია 7 ამხანაგი, მაგალითად, ა. შავგირაძე — გვიშტიბის სასოფლო საბჭოს აგროტექნიკოსი, მ. იოსელიანი — დაწყებითი სკოლის მოწინავე მასწავლებელი, გ. კაკაბაძე, ნ. ჯიქია (კოლმეურნე), მ. იოსელიანი და სხვ.

დაწინაურებული ამხანაგები პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დახმარებით კარგად ასრულებენ მათთვის დავალებულ საქმეს და ენერგიულად მუშაობენ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომი განგრძობა და ახლად დაწინაურებული ამხანაგებისათვის მეტი დახმარების გაწევა.

წყალტუბოს ბოლშევიკებს ახსოვთ, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარება მეტად სერიოზულ ამოცანებს გვიყენებს, და გაცხოველებით ემზადებიან არჩევნებისათვის. ჩვენ გვაქვს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს მოპოვებული მდიდარი გამოცდილება; ამ გამოცდილებას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩავატაროთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები.

ეჭვს გარეშეა, რომ წყალტუბოს რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შესძლებენ მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

# ბანკროტობა გერმანიის ფაშიზმის პოლიტიკისა სოფლის მეურნეობის დარგში

გერმანულ გაზეთ „ნოიერ ფორვერტსში", რომელიც პარიზში გამოდის, მოთავსებულია დიდი სტატია, სადაც აწერილია დამარცხება გერმანიის ფაშიზმის პოლიტიკისა სოფლის მეურნეობის დარგში.

„არცერთ სხვა დარგში,—სწერს გაზეთი,—ფაშიზმის ეკონომიურ პოლიტიკას ისეთი ბანკროტობა არ განუცდია, როგორც სოფლის მეურნეობაში, ბანკროტობა, რომლის დამალვაც აღარ შეიძლება. მიუხედავად ყველა იძულებითი ღონისძიებისა—მიმოსვლის თავისუფლების აკრძალვისა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა ხელფასის შემცირებისა, მემკვიდრეობითი ეზოს კანონისა, მიუხედავად მრავალალთქმული „საბაზრო წესრიგისა" და სხვ.—გერმანია ამჟამად უფრო შორს არის „თავისუფლების [illegible]

[illegible] არითუ[illegible]ებს მას, ვინაიდან, ომისწინანდელ გერმანიასთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო სასარგებლო ფართობი მხოლოდ 10 პროცენტით გადიდდა მაშინ, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა 29 პროცენტით არის გადიდებული. მიუხედავად გერმანიის სასურსათო მინისტრის დარეს მკვეხარა განცხადებისა და ყალბი სტატისტიკისა, გერმანიაში კვლავ მწვავდება ცხიმეულის პრობლემა.

1935-დან 1938 წლამდე მუშახელის რაოდენობა სოფლის მეურნეობაში 8 პროცენტით შემცირდა და ეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ დაბანდებულია სხვა ქვეყნებში შეგროვებული ათიათასობით მუშა. ფაშისტურმა პოლიტიკამ სოფლის მეურნეობის დარგში საგლეხო მეურნეობათა რენტაბელობის დაცემა [illegible]

[illegible] სა და მისი ოჯახის შრომის ასანაზღაურებლად და კაპიტალის დასაბანდებლად. „კვების საიმპერიო წოდება" სოფლის მეურნეობის დეფიციტს მოსავლის მხრივ ხელსაყრელ 1938 წელს, 4,5 მილიარდი მარკით განსაზღვრავს. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ 1938 წელს, 1933 წელთან შედარებით, ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასი უფრო დიდი იყო.

არ გამოუვიდა ფაშიზმს აგრეთვე სოფლის მეურნეობის „რაციონალიზაცია". იგი არ გამოუვიდათ არა მარტო იმიტომ, რომ გერმანიის მრეწველობას, რომელიც არმიის საჭიროებისათვის მუშაობს, არ შეუძლია დააკმაყოფილოს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება, არამედ იმიტომაც, რომ გლეხები იძულებული არიან შეჰკვეცონ [illegible]

[illegible]

14 აგვისტო (საქდესი).

## დარიგება გერმანელ ჯარისკაცებს

[illegible] რომელიც ამჟამად პოლონეთის საზღვარზე იმყოფება, დაურიგა პატარა გერმანულ-პოლონური ლექსიკონი. დამახასიათებელია, რომ პირველი ადგილი ამ ლექსიკონში ასეთ გამოთქმებს უკავია: „შესდექ! ადგილიდან არ დაიძრა! ხელები მაღლა, თორემ გესვრი! დააგდე შაშხანა!". [illegible] მზადე საჭმელი, აჭამე ჩვენს ცხენებს და გაგვირეცხე სარეცხი".

ეს ლექსიკონი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რისთვის ემზადებიან გერმანელი ფაშისტები.

14 აგვისტო (საქდესი).

## „ცუდი დრო დაუდგათ მხატვრებს"

[illegible] შესახებ ინგლისელი მხატვრებისათვის. სამეფო სამხატვრო აკადემიის სურათების გამოფენა, შარშანდელთან შედარებით, დამთავრდა გაყიდული სურათების რაოდენობისა და სურათებში აღებული საერთო თანხის თვალსაჩინო შემცირებით. მაგალითად, 1938 წელს აკადემიამ გაჰყიდა 274 სურათი 11.929 გირვანქა სტერლინგად. წელს კი—187 სურათი 7.744 გირვანქა სტერლინგად.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ასეთი შედეგები მარტო აკადემიას როდი აქვს. მხატვრების თვით ყველაზე თანამედროვე ინგლისურ საზოგადოებებს არ შეუძლიათ დაიკვეხონ წელს გამოფენების დიდი დასწრება და გაყიდული სურათების რაოდენობა.

14 აგვისტო (საქდესი).

## საქმე გერმანელი ჯაშუშისა ბელგიაში

ამას წინათ ბელგიაში აღმოაჩინეს დიდი გერმანული ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელსაც მეთაურობდა ბელგიელი ოფიცერი, ლეიტენანტი დომბრე.

ამ დღეებში ლიეჟში იწყება ამ ჯაშუშური ბანდის პროცესი.

ფრანგულ გაზეთს „პტი პარიზიენს" მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გადაიბირა გესტაპომ დომბრე, და მისი გამოაშკარავების ვითარება.

დომბრეს ფული სჭირდებოდა და მევახშეს მიმართა. მევახშემ უპასუხა, მალი მიიღებ დეპეშას ერთი კაცისაგან, რომელიც შესძლებს ფული მოგცესო. მართლაც, მეორე დღეს დომბრემ მიიღო დეპეშა, რომლითაც მას სთხოვდნენ გამოცხადებულიყო ამსტერდამის ერთერთ სასტუმროში და მოეკითხა იქ იულიუსი. დომბრე გაემგზავრა ამსტერდამს, სადაც შეხვდა იულიუსს, რომელიც გერმანიის შპიონაჟის ერთერთი ხელმძღვანელი აღმოჩნდა ბელგიაში. დომ[illegible]რე, რომელიც ხელგაშლით ცხოვრობდა და ვალში ჩაეფლო, ადვილად გადაიბირა იულიუსმა.

პირველად დომბრე მის მიერ გადაცემულ საჯაშუშო ხასიათის ცნობებში გესტაპოსაგან ათას ფრანკს იღებდა თვიურად. შარშანდელი სექტემბრის კრიზისის დროს დომბრეს 9 ათასამდე გაუდიდეს „განაკვეთი". გაზეთის ცნობით, დომბრემ გესტაპოსაგან მიიღო სულ 170 ათასი ფრანკი.

„პტი პარიზიენი" სწერს, რომ დომბრემ, კერძოდ, გერმანიის დაზვერვას გადასცა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ცნობები ჯარის მობილიზაციისა და გადაყვან-გადმოყვანის შესახებ.

## ესპანეთის ბავშვების გამგზავრება

15 აგვისტოს, თბილისში 4 დღის ყოფნის შემდეგ, ესპანელი ბავშვები ოდესას გაემგზავრნენ.

ქ. თბილისში მათ დაათვალიერეს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, კომკავშირული ხეივანი, ამხანაგ სტალინის სახელობის პარკი. ესპანელმა ბავშვებმა ინახულეს აგრეთვე დიდი ბელადის სამშობლო—გორი. (საქდესი).

## საქართველოს მშენებელთა კავშირის სპორტსმენების გამარჯვება

**ხარკოვი,** 15 აგვისტო (საქდესი). გუშინ დამთავრდა სასპორტო საზოგადოების „სტროიტელის" მძლეოსანთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება. პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს სსრ მშენებელთა კავშირის სპორტსმენების კოლექტივმა.

## ოჯახის თვითმკვლელობა გერმანიაში

**ბერლინი,** 14 აგვისტო (საქდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ 12 აგვისტოს ღამით მიუნხენში თავი მოიკლა ოჯახმა, რომელიც შესდგებოდა 5 კაცისაგან: ოჯახის მეთაურის, 62 წლის ასაკის მოხუცისაგან, მისი ცოლისა და მათი 32-დან 38 წლამდე ასაკის სამი შვილისაგან.



სამოქალაქო საჰაერო ფლოტის აეროდრომზე თბილისში **სურათზე:** სამგზავრო თვითმფრინავის ტექნიკური დათვალიერება მორიგ რეისში გაფრენის წინ. საქდესის ფოტოქრონიკა

# ავიაციის დღის წინ აეროდრომზე

დღესასწაულის წინა დღეებში აეროდრომზე დიდი გაცხოველებული მუშაობაა. საქართველოს აეროკლუბის მმართველობა და კურსანტები—მომავალი მფრინავები ავიაციის დღესასწაულს აღნიშნავენ ახალი წარმატებებით თვითმფრინავთა წაყვანის ოსტატობის დაუფლების საქმეში. ქალაქში თეორიული სწავლების დამთავრების შემდეგ კურსანტები გაემგზავრნენ აეროდრომზე, ბანაკებში. დაძაბული პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს თვითმფრინავებზე.

— ავიაციის დღისათვის, — ამბობს აეროკლუბის უფროსი ამხ. ფრუიძე, — კურსანტთა დაახლოებით 80 პროცენტი შესძლებს მანქანების დამოუკიდებლად მართვას. ისინი წარმოებაზე მოუწყვეტლივ ემზადებიან საბჭოთა დიდი სახელმწიფოს თავდაცვისათვის.

აეროდრომზე ცხოვრება დილის 4 საათიდან იწყება. ანგარიდან გამოჰყავთ სასწავლო მანქანები, ისინი ლამაზად მისრიალებენ ჰაერში. დღე-ღამის ეს საათები ყველაზე უკეთესია სწავლებისათვის. ჰაერში სიწყნარეა, კურსანტს მტკიცედ მიჰყავს თავისი მანქანა. მუშაობის შემდეგ იწყება დასვენება, მარქსიზმ-ლენინიზმის, სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესწავლა.

კურსანტთა შორის ქალიშვილები დიდ პროცენტს შეადგენენ. აი ბერიას სახელობის ტექნიკუმის მკვირცხლი, ჯანსაღი ფიზკულტურელი ლუსია რუსტანოვა, იგი სწავლების ფრიადოსანია. ფიზიკური მომზადება საშუალებას აძლევს მას მარჯვედ, მტკიცედ წაიყვანოს მანქანა.

აქ ცოტა როდია სწავლის სხვა ფრიადოსნებიც. მათ უმრავლესობას მოსწავლე ახალგაზრდობა შეადგენს. მომავალი პედაგოგი—პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი გრამიტონ ხარაბაძე თავის არდადეგებს ბანაკში ატარებს. იგი აქ სწავლობს და ისვენებს. ხარაბაძე მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც სპეციალური კომისია მას ეტყვის: „სავსებით მომზადებული ხარ, შეიძლება მოგანდონ მანქანა".

კომკავშირელ ვასო პაპიაშვილს ორი სასიხარულო ამბავი ელის: იგი მალე დაამთავრებს სწავლას მე-16 სკოლაში, მიიღებს საშუალო განათლებას. ახლა კი იგი ამთავრებს სწავლის კურსს აეროკლუბში. საბჭოთა ახალგაზრდა ცხოვრების ფართო გზაზე გამოდის.

აი სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის მუშა, მშტამპავი-ზეინკალი გიორგი მირიმანოვი. იგი სიყვარულით, დიდი გულმოდგინებით სწავლობს თვითმფრინავს, მის თვისებებს.

კურსანტებს შორის ცოტანი როდი არიან ისეთი პატრიოტები — სწავლის ფრიადოსნები, როგორც მირიმანოვი.

ავიაციის დღისთვის აგრეთვე გაძლიერებით ემზადებიან თავდაცვა-ავიაქიმელი პარაშუტისტები. ავიაციის დღეს სამოქალაქო აეროდრომზე ისინი გვიჩვენებენ ძირსდაშვების კლასს. მეორე კატეგორიის პარაშუტისტ-ინსტრუქტორის ნინა პუშკინას ხელმძღვანელობით პარაშუტისტთა სპეციალური რგოლი ჩაატარებს ერთდროულ გადმოხტომას. აეროკლუბის რაზმების მეთაურები გვიჩვენებენ უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს. (საქდესი).

## გორი ემზადება ავიაციის დღისათვის

**გორი, 15 აგვისტო** (საქ. კორ.). საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი ავიაციის დღისათვის მზადების შესახებ; აგიტატორები ატარებენ საუბრებს საბჭოთა სახელოვანი ავიაციის მიღწევების შესახებ. 18 აგვისტომდე რაიონში ჩატარებული იქნება ღია პარტკრებები, მიძღვნილი ავიაციის დღისადმი. ქალაქად მოსამსახურეებს, ხოლო სოფლად კოლმეურნეებს უჩვენებენ კინოსურათებს საბჭოთა ავიაციის მიღწევებიდან. 18 აგვისტოს ზეიმის შემდეგ ქალაქის ბაღში მოეწყობა მშრომელთა მასობრივი სეირნობა.

ს. ყურაშვილი.

## ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე

ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის განყოფილებამ მიიღო ზომები, რათა საბჭოთა ავიაციის დღეს თბილისიდან აეროპორტამდე და უკან მოეწყოს მგზავრთა შეუფერხებელი გადაყვან-გადმოყვანა. გარდა იმ მატარებლებისა, რომლებიც კახეთის ხაზზე ჩვეულებრივად დადის, 18 აგვისტოს დილიდან ინიშნება სამი წყვილი დამატებითი მატარებელი №№ 107/108. 109/110, 111/112. თბილისიდან აეროპორტისაკენ მატარებელი ყოველ საათში გავა. პირველი მატარებელი გავა 6 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით. უკანასკნელი მატარებელი თბილისს ჩამოვა 17 საათსა და 58 წუთზე.

17 აგვისტოს საღამოდან თბილისის სადგურზე მუშაობას დაიწყებს დამატებითი სალაროები, სადაც გაიყიდება თბილის-აეროპორტის მატარებელთა ბილეთები.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება ქალაქის ყველა სადგურზე ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა განცხადებით (საქდესი).



„მეგობრები".

ფოტო ეტიუდი თ. ფურცელაძის.

## სასამართლო

### სპეკულანტი

აბელ მიხეილის-ძე ბრუტიანი 1937 წლიდან მუშაობდა არტელ „ოქტომბერში" შეკვეთების გამგედ. მას კავშირი ჰქონდა მსხვილ სპეკულანტებთან, იძენდა მათგან სხვადასხვა მაღაზიებიდან გამოტანილ დიდძალ შალეულს და იმ დროს, როდესაც არტელს არცერთი მეტრი მანუფაქტურა არ გააჩნდა, ის არტელის სახელით ყოველგვარ შეკვეთებს ღებულობდა და მომხმარებლებს სამმაგ ფასს ახდევინებდა.

გაჩხრეკის დროს მას დიდძალი რაოდენობით უპოვეს გადამალული შალეული და სხვა მანუფაქტურა, რითაც იგი დაპატიმრების დღემდე ეწეოდა სპეკულაციას. ბოროტმოქმედს დანაშაულზე წაასწრეს.

ა. მ. ბრუტიანი მიცემულ იქნა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხლის მიხედვით.

ამ მსხვილი სპეკულანტის საქმე ორჯერ გაარჩია სტალინის რაიონის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. მახათაძის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. რ. ბახანოვის მონაწილეობით.

სახალხო სასამართლომ სპეკულანტ აბელ მიხეილის-ძე ბრუტიანს მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ბანაკში გადასახლებით და სასჯელის მოხდის შემდეგ სამოქალაქო უფლებების 3 წლის ვადით ჩამორთმევით.

მ. სურგულაძე.

## ახალი ელექტრომავალი

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილის-ხაშურის ელექტროფიცირებულ უბანზე ხდება მძიმეწონიანი მატარებლების წაყვანა ახალი ელექტრომავლის „ვლ-22"-ით. გამოცდის მიზანია ელექტრომავლის წევითი თვისების გამორკვევა და ნავთსასხამ მატარებელთა წონის გადიდება.

უკვე მოხდა 6 საცდელი მგზავრობა, ამასთან 4 მატარებლის წონა ნორმას აღემატებოდა 400 ტონით და 2 მატარებლის—600 ტონით. მატარებლები გრაფიკის მიხედვით დადიოდა, ხოლო ცალკეულ დღეებში გაცილებით მეტ სისწრაფეს ანვითარებდა.

ახალი ელექტრომავალი „ვლ-22" აგებულია კოლომნის ამხ. მოლოტოვის სახელობის ქარხნის და კიროვის სახელობის ქარხანა „დინამოს" მიერ.

საცდელი მგზავრობა გრძელდება.

## ახალი რაიონული გაზეთი „სიმართლე"

ქუთაისი, 15 აგვისტო (საქდესი). 15 აგვისტოს გამოვიდა ახლადშექმნილი რაიონის (ქუთაისის) პარტრაიკომისა და რაიაღმასკომის ორგანო „სიმართლე".

გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებულია სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეების: თევდორე ფესტვენიძის, იონა მუშკუდიანის და სხვათა შთაბეჭდილებანი აგრეთვე მასალები ავიაციის დღის შესახებ, ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისა და საერთაშორისო საკითხების შესახებ.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

**16 აგვისტოს მოლოტოვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში** — ამხ. თავხელიძის ლექცია თემაზე: ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში** — ამხ. კაჭარავას ლექცია თემაზე: დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1539016, გაცემული ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მიერ ამხ. გალაქტიონ ერმილეს-ძე გამყრელიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომი** აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1675600, გაცემული ამავე რაიკომის მიერ მიხეილ რაედენის-ძე ბატაევის სახელზე და საკანდიდატო ბარათი № 0927836, გაცემული შალვა სოლომონის-ძე კობაიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი** აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 1674944, გაცემული ამავე რაიკომის მიერ პარმენ ერასტის-ძე ლატარიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2842316, გაცემული ამავე რაიკომის მიერ არტემ კონსტანტინეს-ძე სულუხიას სახელზე, პარტბილეთი № 1546108, გაცემული ქუთაისის საოლქო კომიტეტის მიერ ანდრო დავითის-ძე ბახტაძის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 2164169, გაცემული წულუკიძის რაიკომის მიერ იონა ბესარიონის-ძე ჯიშკარიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## შემთხვევები

**გაუფრთხილებელი სვლის მსხვერპლნი.** 14 აგვისტოს ახალ სანაპირო ქუჩაზე ავტომანქანა № 25-35, რომელსაც მართავდა შოფერი ი. ი. კლემენტოვი, დაეჯახა მოქალაქე მ. ა. ნაუმოვს და ბიჭს ი. უშკინს (მცხოვრ. მერკვილაძის ქ. № 6), რომლებიც ქუჩაზე გადადიოდნენ. ორივენი მძიმედ დაშავდნენ და ადგილზევე გარდაიცვალნენ. შოფერი კლემენტოვი დაპატიმრებულია. სწარმოებს კვლევაძიება.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი


**სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი**
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-18-50)

**საზაფხულო თეატრი**
16 აგვისტოს
მუდმივი ადგილ. ტალონი № 80
**მხიარული ქვრივი**
მუს. კომ. 3 მოქმ.
17 აგვისტოს
მუდ. ადგ. ტალ. № 81
**ხოლოპკა** მუს კომ. 3 მოქმ
18 აგვისტოს
მუდმ. ადგ. ტალ. № 82
**ქორწილი მალინოვკაში**
მუს. კომ. 3 მოქმ.
სამხატვრო ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე
სალარო ღიაა დილ. 11 საათ. 3 საათ., საღამოს 6 საათ. 11 საათ.

**დახურული თეატრი**
16, 17, 18 აგვისტოს
სვერდლოვის მინიატურის თეატრის გასტროლები
ახალი პროგრამით.
კონფერანსიე: ა. ლიუბანსკი
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღამოს 10 საათზე
ბილეთები იყიდება.

**ღია ესტრადა**
16, 17, 18, 19 აგვისტოს
მოსკოვის და თბილისის ესტრადის საღამოები
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით

**თბილისის პურვაჭრობის დირექცია**
იღებს მოსწავლეებს 1939-40 სასწავლო წლისათვის სავაჭრო საქონელმცოდნეობის ერთწლიან სკოლაში.

სკოლა ამზადებს უმცროს საქონელმცოდნეებს, მაღაზიის გამგეებს და სექციის გამგეებს.

სკოლაში ჩარიცხული იქნებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები 15—18 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა.

საჭიროა წარმოდგენა განათლების, წლოვანობის და ჯანმრთელობის საბუთებისა.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. ქართული (წერა და ზეპირი), 2. რუსული ენა, 3. არითმეტიკა (წერა და ზეპირი), 4. პოლიტცოდნა.

უგამოცდოდ ჩარიცხული იქნებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები.

გამოცდის დროს საჭიროა თბილისის პასპორტის წარმოდგენა.

ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საშუალოდ თვეში 90 მანეთამდე და კურსის დასრულების შემდეგ გამოყენებული იქნებიან სამუშაოდ თბილპურვაჭრობის სავაჭრო ქსელში.

განცხადებების მიღება სწარმოებს თბილპურვაჭრობის კადრების განყოფილებაში ამხ. კეკელიასთან ა. წ. 13 აგვისტოდან 27 აგვისტომდე შემდეგი მისამართით: თბილისი, ლ. ბერიას მოედანი. № 8.

გამოცდები დაიწყება 27 აგვისტოდან.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

311 **თბილპურვაჭრობის დირექცია.**

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო
**თეატრს ესაჭიროება სცენის თანამშრომლები — სტატისტები** (მამაკაცები.)
პირობების გასაგებად მიმართეთ რეჟისორის ასისტენტს ამხ. **მძინარიშვილს** დილის 10 საათიდან 11 საათამდე ყოველდღე. 150 3—1


## საქ. ლითონმრეწვკავშირის პრეზიდიუმის დასკვნითი ბალანსი 1939 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი / პასივი

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. | თანხა კაპ. | №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. | თანხა კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 58301 | 99 | 1 | ფონდები | 92339 | 96 |
| 2 | ნედლეული და მასალა | 5177 | 61 | 2 | გრძელვადიანი კრედიტები | 17050 | — |
| 3 | მცირეფასიანი და სწრაფსაცვეთი ინვენტარი | 6117 | 84 | 3 | ანგარიშსწორება | 249849 | 25 |
| 4 | ფულადი საშუალებანი | 48272 | 57 | 4 | მოგება | 45627 | 58 |
| 5 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 271856 | 64 | | | | |
| 6 | ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშში | 4140 | 14 | | | | |
| 7 | განყენებული საშუალებანი | 11000 | — | | | | |
| | ბალანსი | 404866 | 79 | | ბალანსი | 404866 | 79 |

### მოგებისა და ზარალის ანგარიში

| №№ რიგ. | ხარჯები და ზარალი | თანხა მან. | თანხა კაპ. | №№ რიგ. | შემოსავალი და საერთო მოგება | თანხა მან. | თანხა კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სხვადასხვა ხარჯები და ზარალი | 196310 | 68 | 1 | სხვადასხვა შემოსავალი | 241938 | 26 |
| | სულ | 196310 | 68 | | სულ | 241938 | 26 |
| | მოგება | 45627 | 58 | | ზარალი | — | — |
| | ბალანსი | 241938 | 26 | | ბალანსი | 241938 | 26 |

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ.
საქ. ლითონმრეწვკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **დ. სანაძე.** მთ. ბუხჰალტერი **მ. კახაია.** 970

## საქკოოპინკავშირის სისტემაში შემავალ არტელ „თვითშრომის" დასკვნითი ბალანსი 1939 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი / პასივი

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. | №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 2010 | 1 | ფონდები | 15348 |
| 2 | ნედლეული და მასალა | 12714 | 2 | მიზნობრივი რეზერვები | 16936 |
| 3 | წარმოება და გადამუშავება | 3780 | 3 | ანგარიშსწორება | 99545 |
| 4 | პროდუქცია და საქონელი | 34569 | 4 | მოგება | 23469 |
| 5 | მცირეფასიანი და სწრაფსაცვეთი ინვენტარი | 3787 | | | |
| 6 | ფულადი საშუალებები | 16130 | | | |
| 7 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 71493 | | | |
| 8 | ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშში | 2581 | | | |
| 9 | განყენებული საშუალებები | 7934 | | | |
| | ბალანსი | 155298 | | ბალანსი | 155298 |

### მოგებისა და ზარალის ანგარიში

| №№ რიგ. | ხარჯები და ზარალი | თანხა მან. | №№ რიგ. | შემოსავალი და საერთო მოგება | თანხა მან. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სხვადასხვა ხარჯები და ზარალი | 19287 | 1 | შემოსავალი რეალიზაციით | 27300 |
| | | | 2 | სხვადასხვა შემოსავალი | 15456 |
| | სულ | 19287 | | სულ | 42756 |
| | მოგება | 23469 | | ზარალი | — |
| | ბალანსი | 42756 | | ბალანსი | 42756 |

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1939 წ. 21/III, ოქმი № 12.
გამგეობის თავმჯდომარე **ა. გოსტაშვილი.** მთ. ბუხჰალტერი **ბ. კუბულაშვილი.** 1032

## მომარაგება-გასაღების რესპუბლიკური ტრესტის „საქმომარაგებას" დასკვნითი ბალანსი 1939 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი / პასივი

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა | №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | საწესდებო ფონდი | 1.258.639 |
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 228.539 | 2 | საამორტიზაციო ფონდი | 32.464 |
| 2 | სამასალო მარაგი და სათბობი | 252.247 | 3 | წამოწყების დირექტორის ფონდი | 2.964 |
| 3 | დაუმთავრებელი წარმოება | 94.268 | 4 | სხვა ფონდები | 4.139 |
| 4 | მზა-ნაწარმი და საქონელი | 1.811.445 | 5 | რეზერვები | 39.506 |
| 5 | გაგზავნილი საქონელი | 365.705 | 6 | მოუწესრიგებელი მუხლები | 4.142 |
| 6 | ფულადი საშუალებანი | 390.890 | 7 | საბიუჯეტო დაფინანსება | 435.000 |
| 7 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 468.695 | 8 | მოკლევადიანი სესხები | 800.000 |
| 8 | მომავალი დროის ხარჯები | 7.569 | 9 | ანგარიშსწორებანი | 900.342 |
| 9 | მშენებლობის დაფინანსება | 3.409 | 10 | მშენებლობა ასანაზღაურებელი ანგარიშსწორებით | 11.481 |
| 10 | განყენებული საშუალებანი | 31.324 | 11 | საანგარიშო წლის მოგება | 165.414 |
| | ბალანსი | 3.654.091 | | ბალანსი | 3.654.091 |

### 1938 წლის მოგება-ზარალის ანგარიში

| ზარალი | | მოგება | |
|---|---|---|---|
| 1. სტიქიური უბედურებით | 4.007 | 1. საქონლის რეალიზაციით | 191.696 |
| 2. სადებიტორო დავალიანების ჩამოწერა | 23.848 | 2. შემოსავალი ადრე ჩამოწერილი სადებიტორო დავალიანებიდან | 1.083 |
| 3. ანარიცხები სადავო ვალების რეზერვში | 12.590 | 3. ხანდაზმულორაგასული საკრედიტორო დავალიანების ჩამოწერა | 6.607 |
| 4. საანგარიშო წელში გამოვლინებული წარსული წლების ზარალი | 20.559 | 4. სხვა ორგანიზაციებისადმი გაწეული მომსახურება | 24.990 |
| 5. სხვადასხვა ზარალი | 12.780 | 5. სხვადასხვა შემოსავალი | 14.822 |
| სულ | 73.784 | | |
| წმინდა მოგება | 165.414 | | |
| ბალანსი | 239.198 | ბალანსი | 239.198 |

ტრესტის მმართველი **ვ. ი. ჭანიშვილი.** მთავარი ბუხჰალტერი **მესხი.**
დასკვნითი ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. კომ. მეურნეობის სახ. კომისარიატის საბალანსო კომისიის მიერ 1939 წ. 7 მაისს, ოქმი № 1.
686 საქ. კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატის მთ. ბუხჰალტერი **შ. ოქრუაშვილი.**


**სტამბა „კომუნისტი" ღებულობს მოწაფეებს საამწყობო საამქროსათვის.**

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ სტამბა „კომუნისტის" კადრების განყოფილებას — ამხ. ბზიშვილს. ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული. **დირექცია.**


ბიძა ილარიონ, ბიცოლა პელო, რძალი დარო შვილებით, ნინო, ზაქრო და შალვა ხარშილაძეები მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ **ლავრენტი ალექსის-ძე ხარშილაძის** გარდაცვალებას. 2806

მშობლები გრიშა, მარიამ, ცოლი ზინა, შვილი ლევ, დები ნინო, ლარისა, ძმები კოლია, პეტია შენგელაიები, სიძე ვარლამ კიზირია იუწყებიან, რომ 18/VIII, 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ **ჟორა შენგელაიას** სამოქალაქო პანაშვიდი. 2805

მეუღლე თინა, მშობლები ნოე, სონია, და ექიმი თამარ, ძმები არჩილ, ტოშია, რძალი მარგალიტა შვილებით იუწყებიან ძვირფას **ვალოდია ნოეს-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 18/VIII, ნინოშვილის მე-7 შესახვევი, 14, 2797.

შვილები ოლია, მერი, ქსენია, დადუ, ლიდა, ლუბა, სიძეები კირილე, დიმიტრი, გრიგოლ, შვილიშვილები ნუნუ, ჯანა, შოთა იუწყებიან საყვარელ **ნინო დავითის-ასულ სვანიშვილის** გარდაცვალებას. კამოს, 67. 2803

არტელ „ქიმტემპის" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე წარმოების თანამშრომლის, საყვარელი ამხანაგის **არტაშ მაკარის-ძე აპრესოვის** გარდაცვალებას. 2804

ვლადიმერ მაჭარაძე, ნუცა ქმრით, თინათინ და მარინე მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი მეუღლის, დედისა და ბებიის **არეთა კონსტანტინეს-ასულ მაჭარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/VIII ქ. წულუკიძეში.


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ. ზ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1724